

სპორტიელი

ქართული
ბიზნისი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 6 დეკემბერი 2004 №283 (2304)

ფასი 50 თეთრი

კოზიაშვილის პასეა ბუნდესპასიანის შესვლა

„პანიონოსი“ და „დინამო“ სულაც არ არიან „ბარსელონა“ და „იუვენტუსი“, მათი გარიგება-არგარიგების ამბავი ევროპას მთელი კვირა თუ მთელი თვე ტოპნიუსად გაჰყვეს. ევროპა სხვა გზით მიდის და ჩვენს სატკივარს ერთხელაც მაშინ გაიხსენებს, უფასეული გამოძიება თავის სიტყვას რომ იტყვის.

ამ შაბათ-კვირას ევროპას თავისი ამბები აინტერესებდა, თუმცა მათში მაინც გამოერია ერთი ქართველი და, ღვთის მადლით, მამაძალღობით კი არა, კარგი თამაშით.

ბუნდესლიგაში, რურულ დერბიში, „შალკემ“ ერთი ბურთით მოუგო „დორტმუნდს“ და რაკი ლიდერმა „ბაიერნმა“ „ნიურნბერგთან“ ქულაზე მეტი ვერ გაახერხა, ახლა გერმანიაში ორხელისუფლებიანობაა. ჩვენთვის მთავარი კი ის არის, რომ „შალკეს“ გოლში ლომის წილი დაიდო ლევან კოზიაშვილმა. მისი საგოლე პასი უზადო გახლდათ.

ესპანეთში კი პირიქით, პირველ-მეორეს შორის სხვაობა ცხრა ქულამდე გაიზარდა, რაკი „ბარსელონამ“ ცალი ფეხით გაანადგურა „მალაგა“, ხოლო „რეალმა“ ვერაფერი მოუხერხა „ვილიარეალს“. დღეს კიდევ უფრო საეჭვოდ ჩანს მადრიდელთა პრეზიდენტის ორი კვირის წინანდელი ნათქვამი, ფრეებითაც შეგვიძლია ჩემპიონობაო. იტალიასა და ინგლისზე კი სათქმელიც ბევრი არაფერია, ვისაც უნდა მოეგო, მოიგო კიდევც.



დინამო	18	12	3	3	40:19	39
ტორპედო	18	11	6	1	32:11	39
თბილისი	18	10	4	4	38:22	34
ვიტ ჯორჯია	18	8	4	6	30:25	28
ლოკომოტივი	18	7	7	4	25:16	28
ბათუმი	18	6	5	7	22:16	23
ჯანსუღი	18	6	1	11	16:36	19
კოლხეთი	18	5	4	9	17:23	19
სიონი	18	4	2	12	15:42	14
დილა	18	2	2	14	13:38	8

დინამომ ხადაგლა ითამაშა, მაგრამ ხადაგლა ილაპარაკა ტორპედოს სუბპტირთ ხელიდან გაუვარდა



გადარი კეთილშინა ფოტო

გუმინ ქუთაისში. „ტორპედო“ 2:2 „თბილისი“. მასპინძელი მეკარე ზვიად სტურუა სანდრო იამვილის დარტყმულ ბურთს ვერ მისწვდა

საქართველოს 16 ჩემპიონატი 18 ტურში



გაგა ჩხეტიანის გოლმა თამაში გააყაიმა

გაგა ჩხეტიანის გოლმა

დავით თავართიშვილი ქუთაისიდან

თამაში იყო, მხოლოდ ერთი რამ თუ აკლდა — სტადიონზე ოდენ ათას კაცამდე თუ იქნებოდა, არადა, „ტორპედოსთვის“ ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო — მოგების შემთხვევაში ოთარ გაბელიას გუნდი ზამთრის ჩემპიონი გახდებოდა. ქუთაისში მზიანი დარი არ ყოფილა, მაგრამ გუნდებს არც ავდარში უთამაშიათ — გულშემატკივარი ბლომად რომ მისულიყო სტადიონზე, ვინ იცის, იქნებ „ტორპედო“ ზამთრის ჩემპიონიც გამხდარიყო, მაგრამ „ტორპედო“ ახლა ფუფუნით ღონიერი კლუბი არაა და გულშემატკივართან მუშაობისთვისაც არავის სცხელა.

მაგრამ „ტორპედომ“ მატჩი რომ ვერ მოიგო, ამას ქუთაისელ გულშემატკივარს ვერ დაეპარალებოდა — სამი ქულის მოპოვების უფლება მასპინძლებს მეტოქემ არ მისცა — მეტიც, „თბილისს“ აქეთაც შეეძლო სამი ქულის აწაყენა „ტორპედოსთვის“. მოკლედ, ისეთი თამაში გამოდგა, ნახვად მართლაც რომ ღირდა.

ნაწვიმარ მინდორზე „თბილისმა“ მეტოქეზე უკეთ გააგორა ბურთი, სტუმრები უფრო მობილურად, მხნედ გამოიყურებოდნენ, ხოლო „ტორპედო“ თითქოს ჩასაფრებული იყო, მეტოქის შეცდომას ელოდა. დავით ოდიკაძემ კი გოლი ასე გაიტანა — ქუთაისელთა მცველებსა და მეკარეს შორის გაუგებრობა მოხდა, მცველებმა ბურთი კარიდან გამოსულ ზვიად სტურუა-

სკენ გაატარეს, მაგრამ მათსა და მეკარეს შორის ოდიკაძე გაჩნდა, ბურთი მეკარისგან განზე გაივლო და კარსაც კარგად დაუმიზნა.

„ტორპედო“ პასუხის გასაცემად აფეთქდა, ასე არ ყოფილა, თუმცა ერთი-ორი სახიფათო იერიში მაინც გამოუვიდა, მაგრამ თამაში კვლავ „თბილისის“ იყო — სტუმრები უკეთ მოძრაობდნენ და აშკარა საგოლე მომენტები თუ არა, ძალიან მწვავე შეტევები მართლაც ბლომად გაახერხეს.

„თბილისის“ შეტევებს ის მოჰყვა, რომ „ტორპედომ“ გამათანაბრებელი შეაგდო — ალექო კოშკაძე ერთ მეტოქეს გასცდა და 22-23 მეტრიდან დაამტერა ცაცია — ბურთი ჯერ „თბილისის“ კარის ძელს მოხვდა და ბადე მერე მოძებნა — ლამაზი გოლი გამოდგა, მაგრამ სანდრო იაშვილის სულ სხვა იყო — მან შორეული პასის შემდეგ მოიგდო ბურთი, გოგი ფიფიასთან გაითამაშა, შემდეგ დასარტყმელ პოზიციაზე გაიჭრა და 17-18 მეტრიდან ძალაზე კი არა, შესრულებაზე დაარტყა — აქაც ძელი და აქაც გოლი — 1:2.

შესვენებამდე „თბილისს“ კიდევ უნდა ეხებოდა, რევაზ გეწაძეს სტურუამ აულო, ხოლო იაშვილმა ცარიელი კარის გასწვრივ დააგორა ბურთი, რომელსაც ფეხი ვერავინ წაარტყა.

„ტორპედოს“ აგრესია მეორე ტაიმში გამოჩნდა. ერთხელაც ვნახეთ, თუ რატომ ლიდერობდა „ტორპედო“ ჩემპიონატს, თუ რატომ შეუ-

ძლია ამ გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლა, თუ რა პოტენციისაა ოთარ გაბელიას კოლექტივი — შოთა ბაბუნაშვილის მიერ „თბილისის“ საჯარიმოში ჩაგდებული ბურთი გაგა ჩხეტიანს მიუვიდა და ანგარიში კვლავ გაათანაბრდა, მაგრამ სიუჟეტი იგივე როდი იყო — „ტორპედომ“ მარწუხი კარგად შემოუჭირა მეტოქეს, ქუთაისელებმა თითქოს ბოლო ძალები მოიკრიბეს და მოსაგებად გაიწიეს. გამოჩნდა, თუ რა ზედმიწევნით რაციონალურად ცდილობს გაბელია ძალების განაწილების სეზონისწინა შეკრებაგაუვლელ გუნდში — პირველ ტაიმში დაზოგილი ენერჯია „ტორპედომ“ მეორისთვის ამოქმედდა.

ერთი ნიუანსიც — „ტორპედო“ მძლავრად რომ უტყვდა, „თბილისის“ სამი კაცი მაინც სულ წინ რჩებოდა — ფიფია, იაშვილი და ხოჯავა — ლუის ცაკარიასისგან ეს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო, მას, ასე ვთქვათ, შედეგზე მოთამაშე მწვერთნელის იმიჯი ჰქონდა ჩვენში და არა რისიკიანის.

„ტორპედოს“ დაწინაურების საუკეთესო შანსი მაშინ მიეცა, როცა გიორგი მემარნიშვილი რთული პოზიციიდან ჰაერში მოხდენილად გაიწვართა და ასე ჩააგდო ბურთი „თბილისის“ საჯარიმოში, სადაც მარტოდ მყოფ გააგაგაძეს თავით უნდა გაეტანა ახლოდან, მაგრამ ბეჭა შეყრილამდე პოზიცია ისე შეარჩია, ბურთი ხელებში მიუვიდა. ბარემ აქვე დაეძინო, რომ 21 წლის შეყრილამდე ძალიან თა-

რა ნახეს ქუთაისში: ყველაფერი, ზამთრის ჩემპიონატის გარდა

ქუთაისი. 5 დეკემბერი. 13.30 საათი. ტორპედო. 1 000 (ტყველბა 20 000) ტორპედო 2:2 თბილისი

Table with match statistics: Goals by player, assists, and other performance metrics for both teams.


ვლადკერებულად და საიმედოდ ითამაშა მთელი მატჩი. ტაიმის შუაში „თბილისმა“ თამაში გაათანაბრა, გუნდს შეცვლებიც წააღდა და „ტორპედოს“ კვლავ აჩვენა თავისი შემტევი შესაძლებლობები. მესამე გოლის გატანის

საუკეთესო შანსი გვიცა კვარაცხელიას ჰქონდა — „ტორპედო“ სტურუამ იხსნა. მატჩის მიწურულს კი „ტორპედო“ ერთხელაც გაიქაჩა ზამთრის ჩემპიონობისთვის, თუმცა ფრე ალბათ ლოგიკური შედეგი იყო.



გაგა ჩხეტიანის გოლმა

ლუის ცაკარიასი: კარგი თამაში იყო და ორივე გუნდს შეეძლო მოგება. პირველ ტაიმში ჩვენ უფრო მეტი საგოლე მომენტი შევქმენით, მეორეში კი „ტორპედომ“. ჩვენი პრიორიტეტი შემტევი ფეხბურთია და ამიტომაც იყო, წინ ყოველთვის რომ ვტოვებდით სამ ფეხბურთელს.




გაგა ჩხეტიანის გოლმა



გაგა ჩხეტიანის გოლმა

„თბილისის“ ახალგაზრდა მეკარე ბეჭა შეყრილამე თავდაჯერებულად და საიმედოდ ათამაშდა

ოთარ გაბელია: ვადასარევი მსაჯობა იყო, ასეთი გზით იაროს მსაჯთა კორპუსმა და... მეტოქე გუნდის მოთამაშეები ჩემს თვალწინ ლანძღავდნენ მსაჯებს, რასაც „ტორპედოს“ ფეხბურთელებს მსაჯები ნამდვილად არ მოუთმენენ. ნერვატემ და ბოლქვაძემ გამაყურებელი ნემსით ითამაშეს, მაგრამ ბოლქვაძემ მაინც ვერ გაძლო და შევეცვალეთ. ნერვატემ მინდორზე კი დარჩა, თუმცა ტრავმამ ბოლომდე დაზარავის საშუალება არ მისცა. ჩემმა ბიჭებმა პირველ წრეში მაქსიმუმზე მეტი გააკეთეს, ამას მათგან მეც არ ველოდი.



სოსო გრიშვიანიშვილი ერთი ბურთი, „ბათუმმა“ კი სამი ქულა გაუშვა

მურაბ დოღულენაშვილის ფოტო

თბილისი 5 დეკემბერი 13:30 საათი. პრემიერი. 100 (ტყვადობა 70 900)

დინამო 1:0 ბათუმი

1:0 დვალი (22)	
დინამო: მამალაძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, სილაგაძე, კვიციანი, კანკავა, კანდელიანი, რომერი (ხმალაძე 60), დვალი (მელქაძე 63), კაკაბაძე, ქუცურუა (სათადარიგო: ზოიძე; ჭიჭვიანი, კ. მახარაძე, ლ. ახალია, გონიაროვი მწვრთნელი: გია გვგუნიანი)	ბათუმი: გრიშვიანიშვილი, ი. მახარაძე (დლონტი 32; ფირცხალაიშვილი 82), ბეგლარ თედორაძე, გალოგრა, ექონია, ხუჯაძე, ქაცარაია, ი. შენგელია, დარჩიძე, ხომერიკი, გ. ნოდ. ჭელიძე (სათადარიგო: ბაღაძე, მანჩხაგა, ბესიკ თედორაძე, ჩიკვილიძე მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე)
მსპ: ა. კრიჭიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); კ. გაბრიანი; ა. შალამბერიძე (ორივე ქუთაისი)	
სფპ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია	



ბათუმელები ჯაბა დვალმა დააღონა

დინამო ბათუმს ქულა დაანახა და პრ გაატანა

პრეზიდენტი ინასარიძე

ზედინჯელ მერვე მატჩია, „ბათუმს“ ვერ მოუგია. რიხიანი სტარტის მერე ბათუმელებს გამარჯვების გემო დაავიწყდათ და აგერ, ახლა აუტსაიდერებშიც გაერივნენ. ზღვისპირულთა უხეირო თამაშის მიზეზს მარტივი ახსნა აქვს — ფინანსური კრიზისი. სწორედ უფულობით გულდაწყვეტილმა ილაპარაკა კიდევ გუშინდელი მატჩის შემდეგ „ბათუმის“ თავკაცმა ამირან გოგიტიძემ: — გუნდის მომავალი გაურკვეველია, ფეხბურთელებმა არ იციან, თამაშს „ბათუმში“ გააგრძელებენ თუ სხვაგან. ასეთ ვითარებაში კი ფეხბურთელებს სათამაშოდ განწყობა უჭირთ და ბოლოდროინდელი ცუდი შედეგიც ასეთი გაჭირვების ბრალია — თქვა გოგიტიძემ.

გუშინ „ბათუმს“ კიდევ არა უშავდა. სტუმრები ათენბოვლილ „დინამოს“ ტოლ-სწორად ეთამაშნენ და ბათუმის ცოტა ილბალიც რომ ჩამოჰყოლოდათ, ეგებ, უკან ქულაც გაეყოლებინათ.

მთლიანად თამაში კი ისეთი ვერ გამოდგა, როგორც ამ ძველი მეტოქეებისგან ვართ ნაჩვენები. მინცდამინც არც ტემპი იყო მაღალი, არც ბრძოლა ფიცხელი და სახიფათო მომენტებიც ორი-სამი თუ შეიქმნა. უჩვეულოდ მცირე იყო მაყურებელთა რაოდენობაც, 100-მდე ქომაგი თუ შეკრიბა ამ თამაშმა.

...გოლამდე გუნდებს საწერეულო ბევრიც არაფერი ჰქონიათ, ბურთი მეტწილად მოედნის შუაში გორავდა და არც შეკარებიც ყოფილან დატვირთულნი.

გოლი შუა ტაიმში, ჯარიმიდან გაკეთდა: ბათუმელი მცველები საჯარიმოს მისადგომებთან კვირკველიაზე დაჯარიმდნენ. ბურთი კაკაბაძემ გაასწორა, დასცხო, მაგრამ ძელს მოარტყა, იქვე კი დვალი იყო ჩასაფრებული, რომელმაც მცველებს აჯობა, დამატებაზე თავით ითამაშა და როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, გამარჯვების გოლიც გაიტანა.

შესვენებამდე სხვა გამოსარჩევი არაფერი მომხდარა. ეგ იყო, გოგიტიძემ კაპიტანი ვანო მახარაძე

დლონტი შეცვალა, მერე კი ამას ფირცხალაიშვილი ამჯობინა.

თამაში რომ განახლდა, „დინამოს“ ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ კაკაბაძეს არ გაუძარტლა. „ბათუმის“ საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა კარის შორეული კუთხისკენ დაარტყა — ისევ ძელი. დამატებაზე ამჯერად დინამოელთაგან ვერავინ იყოჩაღა. ეს იყო და, მერე უპირატესობა სტუმრებს ჰქონდათ. ისინი მწარედ ჩხვლეტდნენ მასპინძლებს, მაგრამ რეალურ მომენტებამდე საქმე ვეღარ მიიყვანეს.

მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი „დინამო“ გადარჩა: ხომერიკმა ზოიძის კარისკენ ბურთი ცენტრიდან წაიღო და ნოდარის ძე ჭელიძეს მცველებს შუა ისეთი პასი გაუჭრა, მეკარესთან პირისპირ დატოვა. ჭელიძემ მარჯვნიდან სცადა ზოიძესთან მიახლოვება, კუთხეც მოჭრა, მაგრამ კვირკველიას ვეღარ აჯობა — დინამოელმა ბურთი კუთხურზე მიიგერია. არადა, ეს „ბათუმისთვის“ ნაღდი საგოლე შანსი იყო...

ამირან გოგიტიძე: პირველ ყოვლისა, „დინამოს“ გამარჯვებას ვულოცავ. დღეს ჩვენ, როგორც ბოლო მატჩებში, შესაბამისი მობილიზაცია და კონცენტრაცია გვაკლდა, თუმცა კარგია, რომ მეორე ტაიმში ბიჭები უფრო მონდომებით ათამაშდნენ და „დინამოს“ უპირატესობაც დაათმობინეს. მცველებისა და მეკარის თამაშით კმაყოფილი ვარ, აი, ნახევარდაცვაში და თავდასხმაში რამდენიმე ფეხბურთელს თუ დავიმატებთ, კარგი იქნება.

ჩვენ ახლა სპონსორებს ვეძებთ. ძველმა პატრონმა, ბათუმის პორტმა დაფინანსება შეგვიწყვიტა და ფინანსური კრიზისიც ამან გამოიწვია. ფეხბურთელებს ნომბრის ხელფასი და ოთხი მოგებული მატჩის პრემია აქვთ ასაღები.

გია გვგუნიანი: საინტერესო, დაძაბული, ღია თამაში იყო, თუმცა მეტი გოლი რომ გასულიყო, სანახაობრივად უკეთესი იქნებოდა. დღეს ჩვენთვის მთავარი სამი ქულა იყო და კარგია, რომ ასეც მოხდა.

დინამო ხმას აუწია


არც ერთი კითხვა, არც ერთი პასუხი... თბილისის „დინამოს“ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი გუშინ ჟურნალისტებს შეგვხვდა და „პანიონისთან“ მატჩის სკანდალურ გამოხმაურებასთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გააკეთა:

„კლუბის ყველა წევრი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. კატეგორიულად ვაცხადებთ, თბილისის „დინამოს“ არანაირ გარიგებაში მონაწილეობა არ მიუღია და მოვითხოვთ, გამოძიებულ იქნას ყველა დეტალი. თუ ქართულ კლუბს დაუმტკიცდა რაიმე სახის დანაშაული, მზად ვართ, უმკაცრესად დავისაჯოთ ფეხბურთიდან სამუდამო მოკვეთის ჩათვლით.

და თუ გამოძიება დაადასტურებს, რომ „დინამო“ უბრალოა, რაშიც დარწმუნებული ვახლავართ, გპირდებით, რომ ყველა იმ საინფორმაციო საშუალებას და საბუკმეკერო ფორმას, რომლებმაც ჩვენი კლუბის რეპუტაცია შელახეს, საჯაროდ, მსოფლიოს გასაგონად მოვახდევინებთ ბოდიშს, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ზოგიერთ გამოცემას „დინამოს“ სასარგებლოდ ფინანსური ჯარიმა დაეკისრება.“



მურაბ დოღულენაშვილის ფოტო



პატარა თამაშის გამო

დაიწყო ისევ სკანდალი და ისევ „დინამო“ გარეული. თუმცა, რატომ „დინამო“?! მინცდამინც „დინამო“ არა. ქართულ კლუბებს სდევს ხოლმე ეს ამბავი. უფა გამოძიებას შეუდგა „პანიონის“ — „დინამოს“ 5:2-ზე, საერთოდ კი ასეა, როცა ბი-ბი-სი დასველებს კალამს რამეზე და ამას სააგენტოებიც გააგრძელებენ, ამბავი უბრალო და ხელის წამოსაკრავი არ არის.

ჩვენებური ნათქვამი, წერე და იკითხე იქ, მგონი, არც გაუვიათ. თანაც, იმნარი ტოტალიზატორების ნაცადი მეფსონეები იშვერენ ხელს ბერძნულ-ქართული თამაშისკენ, რომელსაც რუმინელი მსაჯები და სომეხი კომისარი ჰყავდა, რომ იმათ ცოდნასა და გავლენაზე გაგაურყოლებს კიდევ.

საერთოდ კი, მთელს ამ ამბავში ყველაზე ცუდი ის არის, რომ ჩვენი ხალხი იჯერებს: დედამიწაზე ყველა ფეხბურთი ჩაწყობილია და ამაში მისი გადარწმუნება ძალიან ძნელია.

მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჩაწყობილია ხოლმე (ხანდახან) უვარგისი, პროვინციული ფეხბურთი, რომელსაც ჰგონია, რომ მას ვერავინ ამჩნევს. თურმე კი ყველას და ყველაფერს ამჩნევენ. ნამდვილი ფეხბურთი როგორ იქნება ჩაწყობილი?! ვერ იქნება. ეს პატარა თამაშის პატარა თამაშს ჰგავს, სხვას არაფერს. თქვენი არ ვიცი და, მე კარგს არაფერს ვეუფას გამოძიებისგან. იმას არ ვამბობ, რომ აუცილებლად დაგვსჯიან და ძლიერ გაფაფხურებულნი ისევ სადღაც შევძვრებით. ამ მოლოდინს არ ვგულისხმობ. ეს ყველაზე უფრო დამნაშავესაც კი ღმერთმა დაუფაროს. მე ვგულისხმობ განწყობას, რომლითაც ჩვენ სტადიონზე უნდა მივიღეთ ხოლმე.

მე მგონია, რომ „დინამო“ ნაკლებად დადამნაშავე ამ ისტორიაში. „დინამო“ ძალიან პატარა იმისთვის, რომ სერიოზულ ვეროპულ თაღლითობაში რაიმე მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეს. მაგრამ სცენაზე გამოსული ნებისმიერი მსახიობი მსახიობად ითვლება, თუნდაც მას სრულიად უსიტყვო როლი ჰქონდეს.

გულშემატკვრებისთვის კი ცოცხალი მხოლოდ ამის თქმა შეიძლება: დავლოდით გამოძიების შედეგს.

ხოლო თბილად უფრო რთული რამ გამოვა: გვიყვარდეს ნამდვილი ფეხბურთი და გვჯეროდეს ნამდვილი ფეხბურთის. მეტი არც არაფერია საჭირო.

ლოკოს ბობოხე გადაგვარჩინა

ზამთარში სტადიონზე ჩაძინება გაცივება იცის

თბილისი 5 დეკემბერი 13.30 საათი. ლოკომოტივი 100 (ტყეაობა 25 600)

ლოკომოტივი 3:1 დილა

1:0 ბობოხიძე (14), 2:0 ბურდული (65), 3:0 ბობოხიძე (76), 3:1 მძინარიშვილი (84)
ლოკომოტივი: გვარამაძე, ლაცაბიძე, მახვილაძე, ბაქრაძე, ბურდული, სიჭინავა (გ. ონიანი 79), გოგობერიშვილი, რ. ონიანი, ლ. ჩხაიძე, ბობოხიძე (გიორგი შენგელია 79), სირბილაძე (სოსელია 86), სათადარიგო: ბათიაშვილი; ლ. ქებაძე, ავალიანი, ულენტი
მწვერთნი: ზაურ სვანაძე
გაწმენდილები: ბურდული (34), ბობოხიძე (61), სომხიშვილი (71), მახვილაძე (88)
მსაჯემი: გ. ვადაჭკორია (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედიო), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მალაღურაძე (თბილისი)
სფპ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ილია ნანოვასვილი

ბოლო სამ ტურში „ლოკომოტივი“ მიჯრით სამი თბილისური დერბიდან ერთიც ვერ მოიგო. კლუბმა ნოემბერი უბარაქოდ ჩაათავა და უიღბლო სერიის შესაწყვეტად „დილაზე“ ხელსაყრელ მეტოქეს რომელს ინატრებდა... სატურნირო ცხრილი ყველაფრის მიქმელია, მაგრამ მაინც არ გვევლინა, ჩემპიონატის აუტსაიდერიც კი ასეთი სუსტი თუ იქნებოდა. აბა, ჯერ ჩემპიონატის ნახევარი მიიღია და გავარდნაზე როგორ ვილაპარაკოთ, მაგრამ ასეთი თამაშით გორელებს ქვედა ლიგაშიც კი ჭაკად ექნებოდათ საქმე...

არსენალურ-მანჩესტერულ შტურმს ხომ არ მოაწყობდა — ნაჩუქარი შეირგო და ფაქტობრივად უოფლოდ მონაგრა სამი ქულა. პირველი გოლი მიხეილ ბობოხიძემ პერსონალური გაიტანა — საჯარიმოში არეულობისას ორ გორელს გასცდა, წააქციეს და პენალტიც თავადვე შესარულა — 1:0. ჩასაძინებელი თამაში მეორე ნახევრის დასაწყისამდე გავრძელდა, აქ კი „ლოკომოტივი“ ცოტა ხნით ჩართო სიჩქარე და „დილა“ სამჯერ გადაურჩა გოლს: ჯერ სირბილაძის დარტყმა სომხიშვილმა ფეხით მოიგერია, დამატებაზე კი ლაშა ჩხაიძემ მეორე იარუსისკენ გაგზავნა ბურთი. სომხიშვილმა ერთ წუთში პირისპირ შეყრილ როინ ონიანსაც აჯობა, მესამედ კი ბობოხიძის გასროლილმა ძელი აახმაურა.

ლალო ბურდულმა კი იცოდა, რომ 1:0 ცოტა სახათბალო ანგარიშია და საჯარიმოში მიღებული ბურთი ცაციათი გადაგზავნა კარში. გოლის მიუხედავად, ლალო აშკარად ვერ იყო თამაშის იმტაზე, რატომღაც ბევრს ნერვულობდა და მსაჯებთან კამათობდა.

„დილა“ მთლად დაიქსაქსა, „ლოკომოტივიც“ ისევე უფხოდ უტევედა, მაგრამ ბობოხიძემ თავისი გოლების მარაგი მაიც შეავსო, როდესაც 40-45 მეტრიდან თავზე გადაუგლო ბურთი კარდაკარგულ სომხიშვილს — 3:0.

გორელებმა მხოლოდ ბოლო წუთებში გამოიღვიძეს, მასპინძლებსაც რკინისმკვნიტელი დაცვა არ დაუპირისპირებიათ და შეცვლაზე შესულმა გაგა მძინარიშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერი დარტყმით შეალამაზა ანგარიში. არადა, მანამდე „ლოკოს“ გოლიკებერ დავით გვარამაძეს ერთხელაც არ დასჭირვებია გადახტომა...

ზაურ სვანაძე: ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ადვილი თამაში გვექონდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბიჭები პირველ ტაიმში ბევრს ნერვიულობდნენ, ბურდული ძალიან დიდ ენერჯიას ხარჯავს მსაჯებთან კამათში და ჯობია, ეს ენერჯია უფრო თამაშს მოახმაროს. კმაყოფილი ვარ, საპასუხო სათასო მატჩს (შინ „კოლხეთთან“) კარგ ხასიათზე შევხვდებით.

სოსო ვაშაკიძე: ძალიან გვიჭირს, მაგრამ იმეღია, გაზაფხულიდან გაძლიერებულ „დილას“ იხილავთ. შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი დაინტერესებულია კლუბის ბედით, რაიონის ბიუჯეტშიც ჩაგვსვამენ და სტადიონსაც მიეხედება. ბაზაც არ გვაქვს, ჩვენს სტადიონზე სამი გუნდი თამაშობს, ასე ხომ არ შეიძლება... ინტერტოტოს თასზე ნათამაშები „დილადან“ ორი ფეხბურთელია შემოგვრჩა. რა ვქნათ, რომელ შედეგზეა ლაპარაკი, როცა ამასწინათ ფოთში სამარშრუტო ავტობუსით ჩასვლას ოთხსაათნახევარი მოეუნდით!



გუნდის მიხეილ ბობოხიძემ მილოცვა ორჯერ მიიღო

საუბრით

მიხეილ ბობოხიძე

ეს მისი საუკეთესო მატჩი არ ყოფილა, მაგრამ „ლოკომოტივის“ სამი გოლიდან ორი პირადად მისი მონაგრული იყო. პენალტიც ინდივიდუალური გარღვევით მონაღირა და მეორე გოლიც დიდოსტატურად გამოზომილი დარტყმით შეაგდო. ამას გარდა, ბობოხიძეს მუდმივად დაძაბულობაში ჰყავდა „დილას“ მცველები და როცა საჭირო იყო, არ თმევაზე თამაშსაც არ თავილობდა.

სერბო



სერბო

კოლხეთი 3:0 სიონი

1:0 ქობულაძე (5), 2:0 ლონღაძე (79), 3:0 თოდუა (86)
ლონღაძემ ვერ გაიტანა პენალტი (79, შეკარე)
კოლხეთი: ქვაჩაბია, დ. ნარსია, ლონღაძე, ჭითანავა, მ. ქობულაძე (გ. კილაშონია 88), აკობია, ვართაგავა (ზ. ქუთათელაძე 63), კუნჭულია (თაყაიძე 68), გ. თოდუა, ე. მარგალიტაძე, ძოძუაშვილი
სათადარიგო: გიზო შენგელია; 5. ნარსია, ჭედი
მწვერთნი: სერგო გაბელაია
სიონი: ბობლიაშვილი, ცეციტაია, გია კილაშონია, ლამბაძე, ბ. შელია, გ. დოლიძე, მიქაბა (დ. არჩვაძე 70), ზაზაშვილი (პ. ჩოხელი 63), ნ. ლაბაძე, ვერეშვიტი, რუსია (ილაგიძე 79)
სათადარიგო: ასლანაძე, გოგოლაძე, ოქრობერიძე, გ. ჩალაძე
მწვერთნი: გიორგი ვიფშიძე
გაწმენდილები: რუსია (6), დ. ნარსია (30), ლაბაძე (49), ლონღაძე (65), ძოძუაშვილი (80)
მსაჯემი: ლ. სილაგავა (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ურუშაძე (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
სფპ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

გონა ჯანაშია ფოთიდან

ინა მოხდა, რომ „კოლხეთმა“ ზედიზედ სამი პრინციპული მატჩი ცხრილის მეზობლებთან შინ ჩაატარა და ქულათა მაქსიმუმიც გაჩაჩა. გუნდის დამარცხებულთა შორის კი „სიონთან“ სხვაობა ხუთ ქულამდე გაზარდა და სეზონის მეორე ნახევარს შედარებით დამძვირებული შეხვდება. „ფაზისზე“ მძიმე თამაში გაჩაღდა. ნაწილობრივ, დამბალ გრუნტზე ფეხბურთელებს მოძრაობა და ბუ-

რთის მორჯულება უჭირდათ. სულზე მოუსწრო ზამთრის შესვენებამ „ფაზისის“ საფარს — აწი იქ ბურთობა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. კოლხებმა საკმაოდ სწრაფად მონახერხეს დაწინაურება. მე-5 წუთზე მათ კუთხური მონაღირეს კუნჭულიას ჩაწოდებულს ყველაზე მაღლა ქობულაძე დაუხვდა და თავით დარტყა კიდევ. ბობლიაშვილმა ბურთი თითქოს მოიგერია და არც მარგალიტაძის დამატებულზე შერცხვა — გატანა არც მას და-

ნება, თუმცა თანამსაჯმა აფციაურმა გოლი ჯერ კიდევ ქობულაძის დარტყმისას დააფიქსირა და მოედინის ცენტრისკენ გაემართა.

ამ საუკვო ეპიზოდმა სტუმრები გააცცხლა და ეს საპროტესტო აქცია რუსიას გაფრთხილებით და გოგოლაძის გაძევებით დასრულდა. ამ უკანასკნელზე მეოთხე მსაჯმა სილაგავას ამცნო, უწმაწური სიტყვები იკადრაო და მას სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნებზე მოუწია გადასაცვლებამ.

გამშვებულმა გოლმა „სიონი“ გასათანაბრებლად შემართა, თუმცა ტალანთან მოედანზე ბევრი ვერაფერი იხერა. საერთოდ, ტაიმი ისე მორჩა, არც ერთ კართან რეალური საგოლე მომენტი არ შექმნილა, მოედნის ცენტრში კი დიდი ორომტრიალი გაჩაღდა. სტუმრებს კარგი შანსი ებოძათ 30-ე წუთზე, როცა ხუთი ბოლნისელი ორ კოლხს კონტრიეროში მიეძალა. ფლანგზე გაჭრილი დოლიძე ნარსიამ წყის დარღვევით, „პრევენციულად“ შეაჩერა, თორემ ვინ იცის, რა მოხდებოდა.

შესვენების შემდეგ თამაში უფრო გაიხსნა და უფრო სანახაობრივად გახდა. ერთი ოლონდ, ფეფშიძის შევირდებს მარტო მონდობებით ფონს

გასვლა ძალიან გაუჭირდებოდა. ვერც შეცვლებმა გაუმართლათ ისე, როგორც „კოლხეთს“: გაბელაიამ ჯერ ქუთათელაძეს უხმო, მერე თაყაიძეს და მეტოქე საბოლოოდ გატეხა.

კოლხთა უპირატესობა ბოლო ოც წუთში უკვე თვალსაჩინო იყო და მალე გასარკვევით გაირკვა. 79-ე წუთზე თაყაიძის ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოში ცქვიტაიამ ხელით შეაჩერა და სილაგავამ თერთმეტმეტრიანი შანსი უბოძა მასპინძლებს. პენალტი ლონღაძემ ითავა და ბობლიაშვილმა პირველი დარტყმისას კი იყოჩაღა, მაგრამ ლონღაძისვე დამატებულზე უძღური იყო.

წერტილი კი თოდუამ დასვა, რომელმაც კილაშონიას მოგერიებულ ბურთი მოიგლო და ბობლიაშვილს აუღებელი დაურტყა.

მოკლედ, სერგო გაბელაიას ხელში „კოლხეთმა“ მორიგი საშინაო სამი ქულა მოიპოვა და ფაზისულ ქომაგობას საკუთარ კარში მიღებული გოლი კვლავ არ ანახა. აი, „სიონს“ ზამთრის შესვენება და გაძლიერება თუ უშველის, პირველ ლიგაში რომ არ დაქვეითდეს, თორემ ასეთი გუნდით თავის შენახვა ფრიად ძნელი საქმე ჩანს.

ზესტაფონი 5 დეკემბერი 13:30 საათი ცენტრალური 1 200 (ტელეფონი 10 000)

ზესტაფონი 3:13იბ ჯორჯია



<p>ზესტაფონი: მერკვილიშვილი, სიდამონიძე, ძამსაშვილი, რაქიაშვილი, კვერნაძე (ჯაფარიძე 61), ბესარაშვილი, თურმანიძე (ჩიღვინაძე 54), სულაკაძე, ნუნდი, ბ. ნოზაძე, ქურციკიძე (პარამონოვი 80) სათადარიგო: თ. ოდიკაძე, გვარჯიანი, შუკაკიძე, ჭუმბურიძე</p> <p>მწვრთნელი: თემურ მახარაძე</p>	<p>3იბ ჯორჯია: მამარდაშვილი, ვ. გოჩაშვილი, კობიაშვილი, ინკირველი, იმედაშვილი (სახოკია 77), ლ. ნოზაძე (მერებაშვილი 65), დიღმელაშვილი, პ. დათუნაშვილი, ლ. კვარაცხელია, ადამია, მარცვალაძე სათადარიგო: ბედიასვილი, კვახაძე, დ. ლომია, ქოქიაშვილი, ებანიძე</p> <p>მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი</p>
<p>ბაჭყალიანი: ბ. ნოზაძე (58), დათუნაშვილი (60), ქურციკიძე (77)</p>	
<p>მსაჯენი: ა. ვილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელივაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)</p>	
<p>სფპ-ის ინსპექტორი: თ. გუნთაძე</p>	

მოდოკურ - ქრსიკული სამეულნიანი ზესტაფონში ჩაგვიონს ხარი აუბალახას

ორწლიანი მოწვევის შემდეგ ზესტაფონში ფეხბურთი ცოცხლდება. გუნდი გუნდს ემსგავსება და მაყურებელიც თამაშიდან თამაშამდე მატულობს. ფეროელები სატურნირო ცხრილში ჯერ კიდევ ქვემო ნაწილში არიან, მაგრამ ფეხბურთელიან-რიგითგულშემატკივრისა და ვეკლა დარწმუნებულია, რომ ჩემპიონატის ბოლომდე ზესტაფონი სამეულში დამკვიდრებას მოახერხებს. თემურ მახარაძის სამწევროც ამკარად უმატებს და, რაც მთავარია, შემადგენლობაც ძლიერდება.

ბოლოს შექმნილები, ზურაბ იონანიძე და კახა ჩხეტიანი უკვე ზესტაფონელები არიან, მაგრამ ეროვნულში თამაშის უფლება გაისამდე არა აქვთ და „ვიტ ჯორჯიასთან“ გუშინდელ მატჩს ტრიბუნებიდან უყურებს. მახარაძის კაპიტანი შავგულიძე და მთავარი მეგობარ ზირაქიშვილიც აკლდნენ, თუმც საქართველოს ჩემპიონთან ტოლ-სწორად თამაშსა და გამარჯვებაში ამას მისი გუნდისთვის ხელი არ შეუშლია.

მატჩის დაწყებამდე ტრიბუნებზე წლების წინანდელ ძლიერ გუნდს იხსენებდნენ, ექვსეულითვის რომ იბრძოდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრისას მომხდარმა ინ-

ციდენტმა უმაღლეს ლიგაში დარჩენაც სანატრელი რომ გაუხადა. ხალხმა სწორედ იმ დღიდან აიკურა ფეხბურთზე გული. ახლა კი საქმე ისე მიდის, იმერელებს რომ გაუხარდებათ. ზესტაფონმა „ვიტ ჯორჯიას“ ალაღად აჯობა და ცხრილში დაწინაურებულ გვგუფთან სხვაობას ცოტაც მოაკლო.

ერთადერთი, რაც თამაშს ხალხის უკარგავდა, მოედნის საფარი იყო. ხანგრძლივმა წვიმამ მოედანი აქაიქ დატბორა და რამდენიმე ადგილას, იმერ მაყურებელს რომ დავესესხით, ურმით გავლაც გაჭირდებოდა.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა პირველსავე წუთზე შექმნეს. საჯარიმოში მარჯვენა კუთხიდან კვერნაძე შეიჭრა და ჩემპიონები მეკარე მამარდაშვილმა იხსნა. იქვე ადამია-მარცვალაძის სწრაფი კონტრშეტევით „ვიტ ჯორჯიასაც“ შეეძლო ეხერია. მათ შესახვედრად გამოსული მერკვილიშვილიც ბურთის წყაღში გაჩერებამ დააბნია, თუმც საგოლე მომენტი მცველმა გაწმუნა. მალე ისევ კვერნაძემ გააკუდა. ამ მომენტთან თამაში მასპინძლების კარანხით გაგრძელდა.

ზირაქიშვილის ნაცვლად ძირითადში მოხვედრილმა ზესტაფონელთა ჯილამ, გიორგი ქურციკიძემ ჩემპიონ მცველებს უამრავი თავ-



გოლი და ორი საგოლე პასი: ასეთი იყო სერგეი ნუნდის (შუაში) მონაგარი

ვსატეხი გაუჩინა. ცენტრალდე ჩამოდიოდა და ყველა ბურთზე თავგანწირვით იბრძოდა. მე-20 წუთზე ერთ ასეთ მომენტში საჯარიმოს კუთხესთან ჯარიმაც მონაგარა და მოდოკველი სერგეი ნუნდის ჩაკიდებული ბურთიც თავადვე ააფართხალა მამარდაშვილის კარის ბაღში. გოლიდან ხუთ წუთში „ზახაროვას“ ორჯერაც უნდა გაეტანა. პირველად მცველებს დაუსხლტა, მეკარეს თავზე გადაუგდო, მაგრამ ტალახმა ბურთი ზედ კარის ზახთან გააჩერა. მეორედ კი ათიოდ მეტრიდან მოჭრილად დარტყმული თითქმის აუღებელი მამარდაშვილმა გააქვავა.

ყველაფერი იქით მიდიოდა, წუთი-წუთზე გოლი უნდა გასულიყო. გავიდა კიდევ, მაგრამ არა იმ კარში, ყველა რომ ელოდა. ვეტერინარების სწრაფი კონტრშეტევა საჯარიმომ ჩაკიდებით გაგრძელდა, მერკვილიშვილს კი ბურთი ხელიდან გაუვარდა და დასწრებაზე კვარაცხელიამ ივარგა.

ანგარიშის გათანაბრებამ „ზესტაფონი“ ცოტა დააბნია და სახიფათო მომენტებმაც იკლო. ხიფათს ვერც სტუმარი ქმნიდა. ხალხმა კი ბოლმა მსაჯებზე ანთხია. ცოლვა გამხელილი სჯობს, შილაკაძემაც და მისმა დამხმარებმაც არაერთი წვრილმანი შეცდომა დაუშვეს,

თუმც უკმაყოფილების მთავარი მიზეზი მთავარი მსაჯის მოედანზე მოძრაობა, უფრო სწორად ვერმოდრაობა იყო. სველ მინდორზე გასრიალებულ ბურთს და სწრაფ კონტრშეტევებს შილაკაძე ერთი ორჯერ გვარიანად ჩამორჩა. საჯარიმოდ ისე შორიდან ჩაუსტვინა, ბურთთან ახლოს მდგომებმა ალბათ ძლივს გაიგონეს.

ასე იყო თუ ისე, ხალხის აგრესია შესვენებისას ჩაცხრა და მეორე ტაიმი ისევ „ზესტაფონის“ შეტევებით დაიწყო. ყველაზე მეტს, პირველი ტაიმის მსგავსად, ქურციკიძე, თურმანიძე და ნუნდი მუშაობდნენ. მეტოქეს ჯარიმის ზღვარზე ეთამაშებოდნენ და თითქმის ყოველთვის გამარჯვებულები რჩებოდნენ. ერთი ასეთი ეპიზოდისას თურმანიძე ისე დაშავდა, შესაცვლელი გახდა. მახარაძემ მინდორზე „ბოლნისელი მახილა“ (ესეც იმერი გულშემატკივრის შემახილა) დავით ჩიღვინაძე შეუშვა და მანაც მორიგი ასპროცენტისანი მომენტები გაანია. ერთხელ ხელი გუბემ შეუშალა, თუმც მანამდე ჯერ ძელს გაარტყა, ხოლო იქიდან გადმოვარდნილი სასწაულად ააცილა.

მეორე გოლი 57-ე წუთზე ნუნდის გაიტანა ბრწყინვალე შორი დარტყვით, თუმც მასზე არანაკლებ გამოსარჩევი იმ მომენტში გოჩა სუ-

ლაკაძე იყო. თავის საჯარიმოსთან აღებულ ბურთზე მეტოქესმდე რომ ათრია და მეტოქეთან ერთად ტალახსაც არანაკლებ ებრძოდა მასპინძლებმა დაწინაურებას უფრო უმატეს და ყველაზე რეალური მომენტი ისევ ჩიღვინაძეს მიეცა. ვიტელთა საჯარიმოსთან ეულად დარჩენილს ხელი მამარდაშვილმა შეუშალა, ოლონდ ისე, რიგვან თამაშში წითელ ბარათად რომ ფასობს. მეკარემ საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და გუნდი ამკარა გოლს გადაარჩინა. ბურთი მინც ჩიღვინაძემ მოიგო და დასარტყმელადც ისწორებდა, მსაჯმა რომ ჩასტვინა და მამარდაშვილი დააჯარიმა, ოლონდ გაფრთხილების გარეშე.

ჩემპიონთა თავკაცმა მერაბ კოჭლაშვილმა ქელის გადასარჩენად შეტევის გაძლიერება სცადა, თუმც რეალურ მომენტამდე საქმე აღარ მისულა. ბოლო წუთზე კი ქურციკიძის შემცველმა პარამონოვმა ნუნდის კარგი პასი შეირგო და სამი ქულა ოფიციალურად გააფორმა.

მერაბ კოჭლაშვილი: „ზესტაფონს“ ვულოცავ გამარჯვებას. დარწმუნებული ვარ, მომავალ მატჩებში თემურ მახარაძის გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩვენი მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი არასაფეხბურთო ამინდია. თამამდე ბიჭებს უუთხარი, ის გუნდი მოიგებს, ვინც ნაკლებად შეცდება მეთქი. სამწუხაროდ, ჩვენ მეტი დაუშვით. მთლად კმაყოფილი არც მსაჯობით დავრჩით. თუკი წინა ტურში „სიონთან“ იმიტომ წააგეთ, რომ არ გავიმართლათ, დღეს ფორტუნა ამკარად თქვენს მხარეს იყო. ჩვენ კი „ზესტაფონთან“ შედარებით დადღობებიც ვიყავით. რამდენიმე დღის წინ „მეტთან“ თასზე ვითამაშეთ, მაშინ როცა თქვენმა კლუბმა დაისვენა.

თემურ მახარაძე: თამაშის წინ მძიმე ამოცანის წინაშე ვიდექი. ორი მთავარი ფეხბურთელი, ზირაქიშვილი და შავგულიძე გვაკლდა. თან ასეთ მნიშვნელოვან მატჩში. ქვეყნის ჩემპიონს რომ მოუუგეთ, პირველ რიგში ბიჭების დამსახურებაა. თავდადებული თამაშისთვის მათ დიდ მადლობას ვუხდით. ახლა მთავარი „დინამოსთან“ სათასო თამაშებზე გადავრთვა. შეიძლება, იქ უკვე იონანიძე და ჩხეტიანიც ვითამაშოთ.

„ფერო“ აღარ ხუმრობს — „ზესტაფონის“ მეტატრონი ილია კოკაია ქართული სატრანსფერო პოლიტიკის ლიდერი ხდება. თავად განსაჯეთ: ზურაბ იონანიძე და კახა ჩხეტიანი ზესტაფონელებმა ამ ცოტა ხნის წინ გადაიბირეს უკრაინული „ტავრიადან“. თუმც ახალწვეულთა ოდენობა ამით არ შემოფარგლულა. „ზესტაფონში“ ვარჯიშობენ ჩვენთვის კარგად ცნობილი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის ოდინდელი ფავორიტები — ვალტერ გუჩუა და გია იმედაძე.



ვალტერ გუჩუა

კოკაია ბაზრიდან დატვირთული მოდის


გესიმებით, ბოსკამპმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაადგა თვალი გუჩუასა და იმედაძესა და საქართველოს ნაკრებშიც ათამაშა ისინი. თუმც მას შემდეგ ამ ფეხბურთელებს საქმეები აერიათ და... მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ვალტერი ბოლოს ფოთის „კოლხეთში“ ირიცხებოდა, ვია კი იმავ „ტავრიაში“.

კოკაიას ხელგამღილებლობა ამით არ ამოწურულა. ზესტაფონელები მეკარის შეტენაზეც სერიოზულად ფიქრობენ და ქართული საზომებით საკმაოდ მსუყვე ლუკმასაც უმიზნებენ — ზვიად სტურუა ან მირზა მერლანი.

სტურუა ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობს და ახლახან საქართველოს ნაკრებშიც მიიწვიეს. ამის გამო, ძნელი წარმოსადგენი გვეგონია, ქუთათურებმა მეზობლებს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დაუთმონ. სხვა ამბავია მერლანის ტრანსფერი — „ვიტ ჯორჯიას“ და ნაკრების ყოფილი მეკარე დღეს უგუნდოდა და „ზესტაფონის“ კარის დაცვაზე უარი რატომ უნდა თქვას?!

მოკლედ, ასეა — ილია კოკაია ქართულ საფეხბურთო ბაზარში უკვე შევიდა და შენაძენებზეც მალე გვათქმევინებს. ისე, ამბობენ, ეს ჯერ კიდევ არაფერია, „ზესტაფონი“ ზამთრის შესვენებაზე უფრო სოლიდურად შეივსება.

ენახოთ, გაგრძელება ალბათ იქნება...



გია იმედაძე

გუნდების შედეგები

დორტმუნდი 0:1 შალკე

0:1 აილტონი (17)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, მადუნ-ნი (ოლსე 78), ბრუნსკა, ვიორნსი, ნ. იენსენი (კრინგე 46), კრუსკა (მ. შტიგმანი 68), კელი, დედე, როსი-ცკი, ვევერტონი, კოლერი

შვედენი: ბერტ ვან მარვიკი
შალკე: ფ. როსტი, ჰამიტ ალტინტო-პი, ბორდონი, კრსტიანი, პანდერი, კ. პოულსენი, კომპაპაილი, ლინ-კოლნი (ვერმანტი 90), სანდი, ასა-მოა, აილტონი (ჰანკე 89)

შვედენი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ვიორნსი, კელი, ოლი-სე, ასამოა, კრსტიანი

მსაჯი: ვაკი
83 000 მაყურებელი

ფრანკფურტი 0:6 ვერდერი
0:1, 0:2 კლოზე (20, 23), 0:3, 0:4 ხარი-სტიასი (29, 58), 0:5 მიკუ (63), 0:6 ხარისტიასი (87)

ფრანკფურტი: გოლცი, შუმანი, მოპ ამადი, ბ. დიარა (დორნი 46), ს. რი-ტერი, ციტიშვილი (ბერნერი 66), კრუსკე, კაირო, ს. კულიბალი, სანუ (ანტარი 46), იაშვილი

შვედენი: ფოლკერ ფინკე
ვერდერი: რანკე, პასანენი, ისმაელი (უმიტი 75), ფ. ბაუმანი, სტალტერი, დ. იენსენი, ფ. ერნსტი (ლაგერბლო-მი 69), ბოროვსკი, მიკუ (მანინი 65), კლოზე, ხარისტიასი

შვედენი: თომას შაფი
გაფრთხილება: კაირო
მსაჯი: ფანდელი
24 500 მაყურებელი

ნიურნბერგი 2:2 ბაიერნი
1:0 მინტალი (23), 1:1 მაკვი (26), 1:2 ზე რობერტო (60), 2:2 ბანოვიჩი (74)

ნიურნბერგი: შეფერი, ა. ვოლფი, კა-ნტალუპი, ნიკლი, ლ. მიულერი, ლა-რსენი, ს. მიულერი, მინტალი (ვაგე-ფელდი 56), ბანოვიჩი, ვიტკი (კეს-ლინგი 70), შროტი

შვედენი: ვოლფგანგ ვოლფი
ბაიერნი: კანი, ხანოლი, ლუსიო, რ. კოვანი, სალიპამიჯიჩი, პარტრიჯი, ბალაკი, ფრინგსი, შვანსტაიგერი (ზე რობერტო 55), მაკვი, კ. პიზა-რო (პ. გერერი 83)

შვედენი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ლ. მიულერი, ლარსენი, ვოლფი, ვოლფი, ბალაკი, ზე რობერტო

გაფრთხილება: ვოლფი (25), სალიპამიჯიჩი (73)
მსაჯი: შეფერი
44 359 მაყურებელი

შტუტგარტი 5:2 ბოხუმი
1:0 კალა (53), 2:0 კურანი (23), 2:1 ედუ (33), 2:2 მალტრიცი (59), 3:2 გლეზი (68), 4:2 მაისნერი (74), 5:2 კურანი (81)

შტუტგარტი: პილდებრანდი, პინკე-ლი (პ. გერბერი 86), შტრანცლი, ბა-ბელი, ლამი, სოლო, ტიფერტი (პ. ელდტი 74), ა. გლეზი, მაისნერი, კუ-რანი, კაკაუ (გომესი 83)

შვედენი: მათიას ზამერი
ბოხუმი: ვანდერი, კოლდინგი (გოში 59), კალა, კნასი, ბ. ბონიგი (მაიხელბეკი 23), მალტრიცი, ბეგანი, მისიოვიჩი, ტროიანი (ბეგენი 67), პ. მადსენი, ედუ

შვედენი: პეტერ ნორრურერი
გაფრთხილება: კაკაუ, ედუ
მსაჯი: კესლერი
35 000 მაყურებელი

ლევინსკი 2:1 ვოლფსბურგი
0:1 კლიმოვიჩი (4), 1:1 ვორონინი (46), 2:1 ფრანცა (89)

ლევინსკი: პ. ბუტი, ჟუანი, ნო-

ვოტნი, როკე ფუნორი, ბ. შნაიდერი, ბალიტი, პლასენტე, პონტე (ბი-როფკა 83), ბაბინი (ფრაიერი 65), ბერბატოვი, ვორონინი (ფრანცა 73)

შვედენი: კლაუს პუგენტალერი
ვოლფსბურგი: იენი, კ. რიტერი, კი-როგა, შოლორი, ვაიზერი, ტიამი, კა-რპანი, მ. ხრისტოვი (აპუმადა 62), დალესანდრო, პრდარიჩი (მ. პეტრო-ვი 85), კლიმოვიჩი (ტოპიჩი 80)

შვედენი: ერიკ გერტსი
გაფრთხილება: ხრისტოვი, ვაიზერი
მსაჯი: მერკი
22 500 მაყურებელი

ჰამბურგი 0:2 ჰანოვერი
0:1 ჩერუნდოლო (19), 0:2 შტენდელი (59)

ჰამბურგი: პიკენაგანი, ბენჯამინი, შლიკე, ვან ბუტიენი, კლინგბილი (რანი 71), ვიკი, იაროლიმი, ბანილი-ნი, დ. შორეირა (მადავიკია 62), ე-მპენზა, ტაკაპარა (როშეო 62)

შვედენი: თომას დოლი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტე-საკერი, ზურავი, ტარნატი, ლაბა, დე-გუცმანი, კრუსკოვიჩი (დაბროვსკი 86), შრიოტერი (იფრისუ 79), თ. კრი-სტიანსენი (სტიანერი 65), შტენდელი

შვედენი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ვიკი, შლიკე, ენკე
მსაჯი: კინოფერი
50 454 მაყურებელი

ჰერტა 6:0 მიუნხენგლადბახი
1:0 რეინა (38), 2:0 რაფელი (54), 3:0 მაღლუნგი (63), 4:0, 5:0 ბაშთურქი (71, 78), 6:0 მარსელინი (81)

ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ში-მუნიჩი, მაღლუნგი, ფატი, დარდაი, ჯ. რეინა (ტ. მარქსი 60), ბაშთურ-ქი, ფილბერტო (ნონდორფი 75), მარსელინი, რაფელი (ბოშინი 67)

შვედენი: ფალკო გიოტცი
მიუნხენგლადბახი: კამპა, პლეტჩი, შტრასერი, ციგე, კლუგე, გაუდუ, დე-მო (სვერკოვი 46), იანსენი, ბროი-ნი, ნოივილი, ვან ჰუტი

შვედენი: დიკ ადოკაბატი
გაფრთხილება: შიმუნჩი, ფრიდრიხი, სვერკოვი
მსაჯი: შმიდტი
40 094 მაყურებელი

არმინია 1:1 ჰანზა
0:1 დი სალეო (52), 1:1 ოგმოიელია (64)

არმინია: პაინი, ლენსე, ლანგეკამი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, დამაი-ერი (რადუნაუ 57), ოგმოიელია, შველა, ბაკი, ფ. ვაბა

შვედენი: უვე რამპოლდერი
ჰანზა: შობერი, ტიკოზუ, მოორლე პილი, მული, პერსონი, რიდელფი (პრიკა 63), ლანკე, ო. რამპოლდერი, ოლბოკი, დი სალეო

შვედენი: იორგ ბერგერი
გაფრთხილება: კაუფი, ლანცი, მიო-რლე, პერსონი, პრიკა, რამპოლდერი

მსაჯი: შიპელი
23 000 მაყურებელი

კაიზერსლაუტერნი 2:0 მიუნცი
1:0 აბელი (20ს.კ.), 2:0 კოსოვსკი (59)

კაიზერსლაუტერნი: თ. ერნსტი, რი-დელი, პერჩი, მეტოშო (ლემბი 46), ჩატო, სფორცა, ენგელარდტი, კო-სოვსკი, ზანდი, ანაბატიდისი (გრამოიცი 74), იანკერი (ტებერი 65)

შვედენი: კურტ იარა
მიუნცი: ვახე აბელი (კებერი 66), მ. ფრი-დრიხი, ნოვსკი, ვაიგელტი, ფ. გერბერი (კეისი 76), კრამნი (ტიანერტი 46), ჰაბაცი, და სილვა, აუერი, ნ. ვაილანდი

შვედენი: იორგენ კლოპი
გაფრთხილება: მეტოშო, ენგელარდტი, ვაილანდი, კრამნი, ფრიდრიხი, კეისი

მსაჯი: შტარკი
46 115 მაყურებელი

საუბრე სერჟები

იგელა იგლის ტყავი დახია



„დორტმუნდი“ — „შალკე“ დერბის საყარისი თამაში იყო

ბელჯიკის „შალკე“ ასე თუ გააგრძელა, ვინძლო, კარგა ხნის ნაოცნებარ ბუნდესსასლათეს დაეპატრონოს. სეზონის უხეიროდ დამწყები და მერე მწვერთელნე-ცვალი „ხუმარები“ ისე ათამაშდნენ, რომ გუშინ დაწინაურებულ „ბაიერ-ნს“ ქულებით გაუთანაბრდნენ, და თუ დღეს ცხრილში ვერ პირვე-ლიბენ, მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობის გამო.

რალფ რანგნიკის გუნდმა გუშინ რურის დერბიში, დორტმუნდში და-სცა „ბორუსია“ და გამარჯვებაში კე-ლავ ლომის წილი დაიღო ლევან კო-ბაშვილმა — აილტონმა სწორედ ჩვენებურის უხადო პასით გაიტანა.

ბუნდესლიგის ბომბარდირმა მა-რეკ მინტალმა კი სეზონში მეცა-მეტე გოლი ოლივერ კანს თავური დარტყმით გაუტანა და „ბაიერნთან“ მატჩში ანგარიში გახსნა. ორიოდ წუთის შემდეგ „ნიურნბერგის“ მც-ველი ანდრეას ვოლფი ხელით თა-მაშისთვის გააძევეს, რიო მაკამი კი პენალტი გამოიყენა. მკრთალი ბასტიან შვანსტაიგერის ნაცვლად შესულმა ზე რობერტომ ბრწყინ-ვალედ შესრულებული საჯარიმო-თი „ბაიერნი“ კვლავ დაწინაურა, მაგრამ კაცნაკულმა მასპინძლე-ბმა ქულის გამოგლეჯა მაინც შე-ძლეს — შტეფან კესლინგის წაქ-ცევისთვის მსაჯმა ჰასან სალიპამი-ჯიჩი ვოლფის გზას გაუყენა და სტუმართა კარში პენალტი დანი-შნა, რომელიც იეიცა ბანოვიჩმა უხადოდ შეასრულა. ნამატჩევეს ორივე გუნდის მწვერთელი ბრა-ზობდა, „ნიურნბერგის“ თავკაცმა ვოლფგან ვოლფმა მოგვარე მცე-

ლის საქციელს თავკარიანობა უწო-და. თანაგუნდლებს უმაღლოდეს, ათნი რომ დატოვა და მის მაგი-ვრად ოფლი ღვარესო. ფელიქს მა-გათმა კი განაცხადა, „ნიურნბერგი“ საშობაოდ დავასაჩუქრეთ, ათკაცა გუნდთან შეტევას დაცვა ვარჩიეთ და ამიტომაც დავისაჯეთო.

საჩუქრები თავისი მეტოქეები-სთვის „ფრაიბურგმა“, „ბოხუმმა“ და მიონხენგლადბახის „ბორუსია-მაც“ არ დაიმურეს.

ანგელოს ხარისტიასი, რომელიც „ვერდერის“ ძირითად შემადგენლო-ბაში არცთუ ხშირად ხვდება, მაი-ნცდამაინც „ფრაიბურგთან“ დაბზ-რიალდა და პეტ თორიქი შეასრუ-ლა. ბერძნის სირტაკამდე მირო-სლავ კლოზემ დუბლი მიითვალა, ერთიც ითან მიკუმ შეაგლო. ახლა უკვე ძალიან ბევრი მიზეზი არსე-ბობს საიმისოდ, რომ ფოლკერ ფი-ნკე დაითხოვონ.

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ პოლანდიელ მწვერთელ დიკ ად-ვოკატს პირველი ალიყური ბერ-ლინიში აჭამეს. „ვერტას“ ზედიზედ ექვსი მატჩია არ წაუგია და გუშინ-წინ „ბორუსიასაც“ გადაურა. ჯუ-ზეპე რეინამ სეზონში პირველი გო-ლი შეაგლო და ხტუმართა რბევაც აქედან დაიწყო. მეორე ტაიმის 27-წუთიან მონაკვეთში დიკ ადვოკა-ტი მისი გუნდის კარში გასულ გო-ლებს ითვლიდა და ხუთი დაითვა-ლა.

„შტუტგარტმაც“ დიდი ანგარი-მით მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ „ბოხუმი“ ევკავებოდა. უიღბლო რაიმონ კალამ მეხუთე წუთზე ბუ-რთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მერე

„ვოლფსბურგი“ ლევერკუზენში დიეო კლიმოვიჩის გოლის წყა-ლობით იგებდა, მაგრამ „მელები“ დაცვაში ჩასხდნენ და დაისაჯნენ კიდევ. ანდრეი ვორონინმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა, მი-სმა შემცვლელმა ფრანცამ კი თა-მაშის ბოლო წუთზე თავით გაძა-რჯევისა შეაგლო.

ალკაბარი 2:0 დენ პაბატი

1:0 მერდინი (18), 2:0 ელსატატი (73)

ვიტსინი 2:1 უტრახტი

1:0 პოფსი (16), 1:1 დუგლასი (85), 2:1 მიაელ იანსი (90)

ფინიქსი 2:1 ნაიმიანი

1:0 კოტი (19), 1:1 გარტო (43), 2:1 სკალუ (85)

ტილზურგი 2:2 პირენი

0:1 სიკორა (6), 1:1 კალუე (30), 1:2 პურტლარი (67), 2:2 ვან ნუსტადტი (90)

„ასე ეინდპოვენს“ პოლონდელი ლოსანი „გრაფსხაპი“ 4:0 დაამარცხა და პოლანდიის 33-წლიანი რეკორდი დაამხო — 110 წუთი შესრულდა, რაც გოლი არ გაუშვია. ანგარიში ბრაზილიელმა მკველმა ალექსმა გახსნა, მეორე პუნაღლით მარკ ვან ბომელმა შეაგლო, ხოლო ჯგუფის ფარვანის დუბლმა ეინდპოვენელთა მე-13 გამარჯვებას საბოლოო წერტილი დაუსვა. აქამდე გუნდს თორმეტი მატჩი ჰქონდა უგოლოდ გადაღებული — წინა რეკორდი კი „აი-აქსის“ ეკუთვნოდა და 1971 წელს ჰქონდა დამყარებული.

პსე	15	13	2	0	39:5	41
ალკაბარი	15	11	3	1	37:12	36
აიაქსი	15	9	4	2	36:17	31
ფინიქსი	15	9	3	3	39:18	30
პერენენი	15	7	4	4	27:25	25
ვიტსინი	15	7	3	5	25:21	24
უტრახტი	15	7	3	5	22:19	24
ბრედა	15	7	3	5	26:32	24
ტილზურგი	15	6	3	6	22:24	21
როლა	15	5	5	5	27:25	20
გრონიგენი	15	5	4	6	24:28	19
ტვენტე	15	5	2	8	19:20	17
ვალვანიკი	15	3	6	6	18:23	15
ნაიმიანი	15	3	5	7	15:19	14
დენ პაბატი	15	3	2	10	18:27	11
დენ ბოსი	15	2	3	10	10:40	9
როზენდალი	15	2	2	11	16:40	8
გრაფსხაპი	15	0	5	10	13:38	5

II ლივიზიონი. XVI ტური

კამპური — ექსელსიორი 1:0; ვინდპოვენი — იგლისი 1:1; ზოლენ — ჰელმონდი 1:2; პარლემი — ვოლენდამი 0:0; სპარტა — სიტარდი 4:3; ტელსტარი — დორდრესტი 2:0; ოსი — ემენი 3:0; ვენდამი — აველდორნი 3:1; ვენლო — ჰერაკლესი 0:2

როიალ ლიზა 2004

A ჯგუფი. XIII ტური

იურგორდენი 0:3 ესპიარტი

B ჯგუფი. XIII ტური

კოპენჰაგენი 1:1 ბრონდო

C ჯგუფი. XIII ტური

ოდენსე 2:1 ბრანი

ამხანაგური მატჩი

საამიროვი 1:1 შუპიტი

1:0 საედი (26), 1:1 ალფაბადი (80)

სერბეთი

პრეპ ლიზა. XV ტური

ბუდუჩინოსტი — ვოივოდინა 3:1; პოდუკი (კ) — პოდუკი (ბ) 1:1; ობილიჩი — ოფე 2:0; სარტიდი — ზეტა 0:2; სუტიესკა — ბორაცი 3:1; ფელენიკი — ცრვენა ზვჰედა 3:5; პარტიზანი — მუჰარევი 3:1; რადნიჩი — ზემური 0:0

რძლის ღაისპენებს ეტოთ?

„ბარსელონას“ კამერუნელმა ფორვარდმა, სამუელ ეტომ „მალაგასთან“ შაბათის მატჩში ორი გოლი შეაგდო და პრიმერადივიზიონის ბომბარდირთა დავაში კვლავ პირველობს — ეტომ ამ სეზონში მეტოქეთა კარი 12-ჯერ დალაშქრა. „ბარსელონამ“ კი „მალაგას“ 4:0 მოუგო და ესპანეთის ჩემპიონატს ლიდერობს. დუბლით ნახეირალ ეტოს ნამატჩივს „ლიბრედირეცტოს“ კორესპონდენტი ესაუბრა

— პრიმერადივიზიონში თქვენს მარაგს კიდევ ორი გოლი შემატეთ...
 — ყოველთვის ვამბობდი, რომ ბომბარდირობას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ, მთავარი ჩემთვის გუნდის გამარჯვებაა. ბელნიერი ვარ, რომ „ბარსელონამ“ ამჯერადაც შეძლო მეტოქის დამარცხება.
 — მიუხედავად ტრავმებისა, გუნდი ძველებურად კარგ ფორმაშია...
 — ეს კარგის ნიშანია. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სეზონში წარმატებებს მივაღწევთ. შობამდე 4 მატჩი დავგრძელებ და, ბუნებრივად,

ყველას გვსურს, არდადეგებს ლიდერებად შევხვდეთ.
 — სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „შახტარს“ ეთამაშებით, უკრაინული სიცივე არ გაშინებთ?
 — დღეს ბარსელონაშიც საკმაოდ ციოდა, თუმცა, როგორც ნახეთ, სამი ქულის მოპოვება მოეახერხეთ. „შახტართანაც“ მოსაგებად ვითამაშებთ და „მილანის“ შედეგს დაველოდებით. შარშან „მალორკაში“ რომ ვიყავი, ზამთრის მატჩი მოსკოვში მოვიგეთ.
 — დღეს მეტოქის იერიშებიც ჩაშალეთ, თქვენს გამო მალაგე-

ლებს 6 პასი გაუცუდლათ...
 — ნაღდად არ დამითვლია, თუმცა ძალიან კარგია, თუ გუნდს ამითაც დავეხმარე. „ბარსელონის“ სარგებლის მოტანა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. თანაგუნდელთა წყალობით გოლების გატანა და კარგი თამაში გაცილებით მიადვილდება.
 — რაიკარდმა თქვა, რომ ეტოლდეკო-ინისტას იერიშებმა „მალაგას“ ფაქტობრივად, შეტევაზე ფიქრის საშუალებაც არ მისცა...
 — გუნდის ყველა მოთამაშემ თავისი საქმე კარგად გააკეთა. იმედია, მომავალშიც ასე ვითამაშებთ.
 — მართალია, რომ ამ სეზონში 25 გოლის გატანას აპირებთ?
 — ცდებით, მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რის გაკეთებას შევძლებ გუნდისთვის, გოლების რაოდენობაზე კი არა. ვნახოთ, სეზონის მიწურულს რა გამოვა.
 — ის, რომ „ბარსელონა“ სახიფათო ეპიზოდებს ბოლო წუთებშიც ქმნის, ფეხბურთელების



ღიდ ამბიციასზე მიუთითებს...
 — სხვანაირად ვერაფერს მივაღწევთ. რაც თქვენ თქვით, ეს გუნდის ერთობლიობის, სულიერი სიმტკიცის მაჩვენებელია.
 — „მალაგასთან“ გამარჯვება ნაკარაუდევზე უფრო ადვილი ზომ არ ყოფილა?
 — ადვილი საერთოდ რა არის ცხოვრებაში? ყველაფერი ძნელია

და გამარჯვებისთვის მუდამ ბრძოლა გიწევს...
 — ღონეცში მატჩის წინ „მალაგასთან“ თამაშს დასვენება არ გერჩივანთ?
 — არა, ამის აუცილებლობა არ ყოფილა. მაშინ საკუთარ თავს სიამოვნების დიდ დოზას დავაკლავდი. დასვენება მერე, წონა და წლები რომ მომემატება.

ბისპენტი, ჰერ ჰერმან!

იურგენ ჯლინსმანი გერმანიას ფსიქოლოგიურად განვრთნის



გერმანიის ნაკრების მწვრთნელს, იურგენ ჯლინსმანს ფეხბურთელების ტვინში ჩახედვა მოუხდა — ფსიქოლოგი, ჰანს-დიტერ ჰერმანი აიყვანა და იმედოვნებს, რომ სანამ სხვა ქვეყნებში ნაკრების ნევრები ფიზიკურად ინვრთნებიან, გერმანიაში გონებრივად გაინვრთნებიან

გებია, ვინაიდან მიუნხენის „ბაიერის“ ერთ-ერთი ვარსკვლავი, სებასტიან დაისლერი, ბოლო წლებში, დეპრესიასთან ბრძოლაში და ეს მათ თვალწინ მიმდინარეობს. მანამდე „ჰანოვერ 96-ის“ თავდამსხმელმა, ოდესღაც ჩეხეთის ნაკრების წევრმა, იან შიმაკმა ვერ გაუძლო პროფესიული ფეხბურთის დატოვებას. სხვათა შორის, შიმაკს სწორედ ჰერმანმა გაუწია კონსულტაცია და იგიც მოედანს, კერძოდ, პრადის „სპარტას“ დაუბრუნდა.
 „ჰერ ჰერმანი ფეხბურთელებისთვის და მწვრთნელებისთვის მრჩევლის ფუნქციას შეასრულებს“ — დასძინა კლინსმანმა.
 გერმანიის ნაკრები 16 დეკემბერს იოკოჰამაში იაპონიასთან, 19 დეკემბერს კორეასთან, ხოლო 21 დეკემბერს ბანკოკში ტაილანდთან ითამაშებს.

„ის ჩვენ დიდ სამსახურს გაგვიწევს, სტრესულ სიტუაციებს დაგვადგვინებს და საუკეთესო თვისებების გამოვლენაში დაგვეხმარება“ — განაცხადა კლინსმანმა მას მერე, რაც ჰაიდელბერგერი პროფესორის სახელი და გვარი გამოცხადდა და ითქვა, რომ იგი ნაკრებს 13-22 დეკემბერს, აზიაში, სამშაბათიან ტურნეზე წაჰყვება. ასე და ამგვარად, გერმანიის ეროვნული გუნდის 96-წლიან ისტორიაში პირველად გამოჩნდა ფსიქოლოგი. შეგახსენებთ, რომ იურგენ კლინსმანმა არცთუ დიდი ხნის წინ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოიწვია ფიზიკური მომზადების მწვრთნელიც და, საერთოდაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში ექვსი

წლის წინ გადასახლებული 40 წლის ყოფილი თავდამსხმელი საკმაოდ ახლებური მიდგომების ადამიანად ითვლება: ის უმეტესად ამერიკაშია და იქაური გუნდების მუშაობას აკვირდება.
 „ვატყობ, რომ ფსიქოლოგის მოწვევას ხალხის ნაწილი მაინც უნდობლობით შეხვდა, მაგრამ, ალბათ, იმიტომ, რომ მათ არ იციან, რას აკეთებს გუნდში ფსიქოლოგი. ხალხს ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ამკარად ერევა ერთმანეთში“ — განმარტავს კლინსმანი.
 გერმანული ფეხბურთის ნებისმიერი მოყვარულისთვის ცნობილია, რომ ამ ქვეყნის ქობაგთათვის ფსიქიატრის პროფესია მართლაც მკაფიო და გასა-



პორტუგალიის ჩემპიონისა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის, „პორტუს“ პრეზიდენტი ჟორჟე ნუნუ და კომტა დაკითხეს. მიზანი: მსაჯებზე ზემოქმედების საქმის გამოძიება.
 ჟორჟე ნუნუ და კომტა ამჯერად — წინა შემთხვევისგან განსხვავებით — თავისი ფეხით მივიდა დაკითხვაზე, გრონდომარში, რომელიც ლისაბონიდან 300 კილომეტრითაა ჩრდილოეთის მიმართულებით დაშორებული. დაკითხვიდან გამოსულმა პრეზიდენტმა ჟურნალისტების კითხვები უპასუხოდ დატოვა.
 ძიებამ, რომელის სახელი „ოქროს სასტვენია“, ვასულ ხუთშაბათს

და კოშტას ოქროს სასტვენმა დაუძახა

ოთხი მსაჯი და ერთი აგენტიც დააკავა. რაც შეეხება ჟორჟე ნუნუ და კოშტას, მისი ოფისიც ვაჩხრიკეს და, როგორც იტყობინებიან, ბინაც.
 აღსანიშნავია, რომ პორტუგალიის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი და მსაჯდროულად ვინდომარის მერი, ვალენტინ ლოურერო, ერთბაშად 23 საკითხთან დაკავშირებით ვახლდათ ევროპული და მისი თავდადებით გამოსცილვას 260 ათასი ევრო დასჭირდა.
 ბაბუნა კელია

რეკლამა
სარბიელ-ში
 Tel: 39 40 08,
 93 16 08;
 Fax: 94 33 80

პორტუგალია

სუპერლიგა. XIII ტური	ბანფიკა — ეშტორილი
გიმარაში 1:0 ბაიანსაში	დღეს გაიმართება
1:0 ნუნუ ასისი (24)	პორტუ 13 7 4 2 19:8 25
ნასიონალი 0:3 ლეირია	სპორტინგი 13 7 3 3 29:17 24
0:1, 0:2 დელსონი (72, 88), 0:3 კრანი (90)	ბოავიშტა 13 7 3 3 17:13 24
პორტუ 0:1 ბაირა მარი	სეტუბალი 13 7 2 4 19:15 23
0:1 ბეტუ (38)	ბენფიკა 12 6 4 2 19:11 22
შილ ვისენტი 3:1 რიუ ავი	ბრაგა 13 6 4 3 17:12 22
1:0 ბრაზა (31), 1:0 ვიანდრო (46), 2:1 ჟულო სეზარი (48), 3:1 ტონანია (90)	ლეირია 13 5 5 3 16:13 20
მორაირანსა 1:1 გოაპიშტა	მარტიმუ 13 5 5 3 15:13 20
0:1 ჟოაუ პინტუ (79), 1:1 მანუელი (90)	რიუ ავი 13 3 8 2 18:17 17
ბრაზა 0:1 ბანფიკა	პენაფიელი 13 5 2 6 16:25 17
0:1 კლეიტონი (59)	გიმარაში 13 4 4 5 10:11 16
სეტუბალი 2:0 მარტიმუ	ბელენენსეში 13 4 3 6 21:20 15
1:0 ნუსეზილი (14სკ), 2:0 უგო ბიანტარა (50)	ბეირა მარი 13 3 4 6 16:25 13
აკადემიკა 2:3 სპორტინგი	ვილ ვისენტე 13 3 3 7 14:17 12
0:1, 0:2 ლიდსონი (20, 22), 1:2 დაროუ (51), 2:2 ლუსიანუ (56), 2:3 როფრიუ (75)	ეშტორილი 12 3 3 6 14:17 12
	ნასიონალი 13 3 3 7 14:22 12
	აკადემიკა 13 3 2 8 13:20 11
	მორაირანსა 13 1 6 6 11:22 9

საპროტესტო ტესტი

ტექნიკოსები უნივერსიტეტს მოეფარნენ

ვილთან ერთად ახალგაზრდებს მოედანზე შეუძღვა.

თამაშისთვის მზად სულ შვიდი თსუ-ელი იყო, გიორგი მარხვაშვილი და ნიკა ვეფხვაძე სკამზე კი ისხდნენ, მაგრამ პროტესტის ნიშნად მოედანზე არ გასულან. მაისურაძემაც კი ორიოდ წუთით წაიბურთავა, მერე კი სკამზე გადაჯდა და მეორე ტაიმიდან სულაც სამოქალაქო ტანსაცმელში ვიხილეთ. მართალია, თსუ-ელებს მეორე მეოთხედიდან გამოცდილი ირაკლი ბაქრაძე შეემატათ, მაგრამ აბა, მხოლოდ ის რას ვახდებოდა.

სტუ-ს გამარჯვებაში თითქმის ყველა დარწმუნებული იყო და ეს თავად ტექნიკოსებმაც რომ იცოდნენ, იმიტომ გაჩაღდა ასე თუ ისე თანაბარი ბრძოლა. ის კი არა, თსუ-მ დაარხინებული მეტოქის უყურადღებობით ისარგებლა და პირველი მეოთხედი მოიგო. როცა სტუ 10:4 დაწინაურდა, ყველას ეგონა, თსუ განადგურდებოდა, მაგრამ ახალგაზრდულმა შემართებამ თამაშს ინტრიგა შემატა.

მიშა ფანჯულიძე შარშანწინ ჩაირიცხა თსუ-ში და მის მერე თამაში ისე დახვეწა, დღეს მიუხედავად მასზე ბევრად გამოცდილი და ასაკოვანი თანაგუნდელებისა, სტუდენტების ერთ-ერთი წინამძღოლა — სულ მოწადინებულია და გუნდსაც განსაკუთრებით მოინდობა. მისი მოხდენილი გარღვევების წყალობით თსუ-ს პირველ მეოთხედში არ გასჭირვებია და მიშა არც მამინ გატყდა, როცა ტაიმის მიწურულს ძალიან აღმართი მოხდა და ტექნიკოსები 13 ქულით დაწინაურდნენ.

ფანჯულიძეს გვერდში ედგა კიდევ



თსუ-ს მწვრთნელ მაშუკა ტურაშვილს გუნდის შეკრებაც პრობლემად ექცა

ერთი ახალგაზრდა ნოდარ ბერაია, რომელიც სიმაღლით არ გამოირჩევა, მაგრამ ქულათა უმეტესობა ფარჯეშიდან მოაქვს. ამ ბიჭებმა ტოლი არ დაუდეს გამოცდილ სტუ-ელებს და მეორე ტაიმის დასაწყისში ჩამორჩნა ორ ქულამდე შეამცირეს, თუმცა ლუკა შანიძის, დავით ბერიშვილისა და რამაზ გოგობერიშვილის ჩუბინობამ ტექნიკოსებს ორ წუთში დაუბრუნა ათქულიანი ლიდერობა.

ტექნიკოსთა ასეთი აფეთქება იმის ნიშანი იყო, რომ ამ მატჩის მომგების ვინაობას გარკვევა არ სჭირდებოდა — როცა სტუ-ს მოუნდებოდა, მაშინ მოიხვეჭდა მეტოქეზე ორჯერ მეტ ქულას. ასეც იყო — თსუ გაიფაფურებდა, ტექნიკოსებს 4-5 ქულამდე მიუახლოვდებოდა და სტუ წუთიერი აფეთქებით კუთვნილ ლიდერობას იბრუნებდა. ნუგზარ ჭეშვილის გუნდისაც გასაგები იყო

— სტუ თითქოს სოლიდარობას უცხადებდა „მონათესავე“ უნივერსიტეტის გუნდს და არ სეტყვავდა მის ფარს.

საბოლოოდ მატჩი ასე კატათავ-ვობანაში ჩათამაშდა და „მეამბოხე“ თსუ-ს „დამსახურებული“ შეიღქულინი მარცხით დასრულდა.

გუნდის ვერის ბაღში კიდევ ორი მატჩი გაიმართა: „მაკაბიძე“ „ბურჯი“ შემუსრა, „დინამო“ კი სსუ-ს ამ თამაშების აღწერაზე საინტერესო ეგებ იმის თქმა იყოს, რომ ფედერაციამ გუნდს გულშემატკივრისთვის მეტად ღირებული, ვლადიმერ ბოისას შეიღწომიანი სანაკრებო მისურა გაათამაშა სამქულიანების ტურნირზე. გამბედავმა მოყვარულებმა მოგების დიდი სურვილით ატყვეს სამქულიანების ლაწა-ლუწი, წითელი მაისურა კი წარწერით „Georgia“, მხოლოდ ერთ მათგანს ერგო.

5 დეკემბერი, კერძის ბაზი
მაკაბი 97:69 ბურჯი
32:14, 20:10, 21:14, 24:29

მაკაბი: ნინოშვილი (15), ერგემიძე (9), კონჯარია (13), ვაშაკიძე (34), ფიცხელაური (8); კორკობაძე (13), გვარამაძე (5), ბარსეგიანი
ბურჯი: დოლიძე (8), აკოლაშვილი (18), პაპუნაშვილი (5), ქისტაური, შერმაძიანი (6); დოლბაზაშვილი (13), ქუჯაიძე (10), სენიაშვილი (5), ნუცუბიძე (4), ამირანაშვილი

მაკაბი: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
ქოშისარი: როლანდ გელოვანი
სტუ 89:82 თსუ
19:20 27:18 21:18 22:26

სტუ: დ. ბერიშვილი (4), დავითოვანი (7), კვიციანი (20), შანიძე (21), ჯაფარიძე (2); გოგობერიშვილი (20), კობრიძე (2), მიქაძე (2), მათიაშვილი (1), პირველაშვილი
თსუ: გაფრინაშვილი (12), ი. მაისურაძე, ფანჯულიძე (30), კოკოლიშვილი (16), ლომიძე (6); ბერაია (16), ხიზანიშვილი (2), ბაქრაძე

მაკაბი: ზაზა მარაღაძე, დავით ბერეკაშვილი
ქოშისარი: მურმან ქურიძე
დინამო 101:61 სსუ
31:8 28:11 22:22 20:20

დინამო: გამყრელიძე, გულისაბედაშვილი (15), ხეცურიანი (19), ზურციანი (11), დიდიანი (22); კვიციანი (11), ლაფანაშვილი (10), ვ. მაისურაძე (7), დერიუგინი (4), სუხიშვილი (2)

სსუ: ნინუა (9), პატარაია (3), ონიკაშვილი (7), გოლეთიანი (6), ქვიციანი (3); ზანგურაშვილი (13), მ. ბერიშვილი (7), ნოზაძე (6), გახიჭიაშვილი (4), ჭოველიძე (2), იმედაშვილი (1)

მაკაბი: დავით ბერეკაშვილი, ლიკა ქაჯაია
ქოშისარი: თენგიზ ქიქოძე

5 დეკემბერი, რუსთავი
თუზი 76:100 აზიანთი

სტუ	6	6	0	+148	12
თბილავიანთი	6	5	1	+128	11
დინამო	6	4	2	+126	10
თსუ	6	3	3	+57	9
თუზი	6	3	3	+19	9
მაკაბი	6	2	4	-66	8
სსუ	6	1	5	-181	7
ბურჯი	6	0	6	-231	6

NBA რეგულარული ჩემპიონატი

3 დეკემბერი

აოსტონი 91:89 ტორონტო
აოსტონი: ბლუტერი (22), პირსი (20)
ტორონტო: როუზი (19), მარშალი (17 ქულა, 11 მოხსნა)

ნიუ იორკი 98:104 ორლანდო
ნიუ იორკი: მარბერი (28), კროუფორდი (23), ტ. ტომპსი (18), კ. ტომპსი (16)
ორლანდო: მობლი (34), ფრენსისი (26), პილი (21)

ატლანტა 90:114 ვაშინგტონი
ატლანტა: უოლკერი (26 ქულა, 11 მოხსნა), პარინგტონი (16)

ვაშინგტონი 101:91 პიუსი
ვაშინგტონი: პიუსი (19), დიქსონი (17)

მემფისი 94:86 ფილადელფია
მემფისი: გასოლი (34 ქულა, 15 მოხსნა), მილერი (19)
ფილადელფია: აივერსონი (25), ჯეკსონი (17)

სან ანტონიო 80:77 დეტროიტი
სან ანტონიო: პარკერი (20), დანკანი (18 ქულა, 18 მოხსნა), ჯონობილი (18)
დეტროიტი: ბილაფსი (18)

ჩიკაგო 81:105 მიაშიგნი
ჩიკაგო: პაინრიხი (17)
მიაშიგნი: ლუტენერი (23), ჯონსი (21), ონილი (18), ვეიდი (15 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი)

ფინიქსი 93:97 მინესოტა
ფინიქსი: სტუდემიერი (28), ნემბი (22), მარონი (21 ქულა, 18 მოხსნა)
მინესოტა: გარნეტი (23 ქულა, 19 მოხსნა, 8 პასი), სპრიუელი (22), კასელი (19)

ლიუიზიანა 97:88 გოლდენ სტეტი
ლიუიზიანა: ბატლერი (27), ბრაიანტი (10 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი)
გოლდენ სტეტი: რიჩარდსონი (22)

საკრამენტო 113:87 ინდიანა
საკრამენტო: ვებერი (29), მილერი (17 ქულა, 13 მოხსნა)
ინდიანა: ტინსლი (21)

4 დეკემბერი

მილუოკი 83:104 სან ანტონიო
მილუოკი: უილიამსი (2), რედი (15), მეისონი (18), სმიტი (10), გაბურიანი (4); ჯეიმი (11), ფიზერი (8), უაშლინი (17 ნუთი, 7 ქულა, 1 პასი), პამპლტონი (6), სტრიკლენდი (2)

სან ანტონიო: პარკერი (13), ჯონობილი (12), ბოუენი (7), დანკანი (20), ნესტროვიჩი (4); ბრაუნი (13), უდრიბი (13), როუზი (9), ბერი (5), პორი (4), ვაილქსი (4), მასენბურგი

დენვერი 104:95 მიაშიგნი
დენვერი: უნტონი (28), ბოიკინსი (16)
მიაშიგნი: ვეიდი (26), ონილი (12)

სიეტლი 99:89 პორტლენდი
სიეტლი: რადმანოვიჩი (20 ქულა, 10 მოხსნა), ლუისი (20)
პორტლენდი: რენდოლფი (16 ქულა, 12 მოხსნა)

სტივენსონი განაცხადში არ იყო

გოლდენ სტეტი 104:96 ინდიანა
გოლდენ სტეტი: რიჩარდსონი (19), მერფი (17 ქულა, 12 მოხსნა)
ინდიანა: მილერი (23), კროუფორდი (19 ქულა, 14 მოხსნა), ტინსლი (18 ქულა, 11 პასი)

ადოსავლეთი

ატლანტიკა	
ნიუ იორკი	8 8 50,0
ბოსტონი	7 8 46,7
ფილადელფია	6 10 37,5
ტორონტო	7 12 36,8
ნიუ ჯერსი	4 12 25,0
ცენტრალური	
კლივლენდი	11 6 64,7
ინდიანა	10 7 58,8
დეტროიტი	8 8 50,0
მილუოკი	4 10 28,6
ჩიკაგო	2 12 14,3
სამხრეთ-აღმოსავლეთი	
ორლანდო	11 5 68,8
ვაშინგტონი	10 5 66,7
მიაშიგნი	11 7 61,1
შარლოტი	4 10 28,6
ატლანტა	2 14 12,5


დასავლეთი

სამხრეთ-დასავლეთი	
სან ანტონიო	15 3 83,3
დალასი	12 6 66,7
პიუსტონი	7 11 38,9
მემფისი	6 12 33,3
ნიუ ორლეანი	1 14 6,7
ჩრდილო-დასავლეთი	
სიეტლი	15 3 83,3
მინესოტა	11 5 68,8
დენვერი	9 7 56,3
პორტლენდი	8 7 53,3
იუტა	8 9 47,1
წყნარი ოკეანე	
ფინიქსი	13 3 81,3
საკრამენტო	11 5 68,8
ლეიკერსი	10 7 58,8
კლაიპერსი	10 7 58,8
გოლდენ სტეტი	4 12 25,0

ჰიუსტონი 77:76 ფილადელფია
ჰიუსტონი: მინგი (20 ქულა, 13 მოხსნა), მაკგრედი (17)
ფილადელფია: აივერსონი (20)

ნიუ ორლანდი 69:92 დეტროიტი
ნიუ ორლანდი: ნეილონი (18)
დეტროიტი: ბ. ვოლესი (22), პამპლტონი (21)

კლივლენდი 105:97 ტორონტო
კლივლენდი: ჯეიმი (27 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), გუდენი (27 ქულა, 15



იუტელი კარლოს ბუზერი დალასელ დიკ ნოვიციკის დააცხრა

მოხსნა, ილგაუსკასი (21 ქულა, 13 მოხსნა)
ტორონტო: ალსტონი (20 ქულა, 10 პასი), ბონერი (17)

ორლანდო 96:91 მემფისი
ორლანდო: პილი (23), თურქოლლუ (16), ფრენსისი (16)
მემფისი: გასოლი (20), ჯონსი (16)

ვაშინგტონი 95:88 ჩიკაგო
ვაშინგტონი: არენსი (34), პიუსი (18)
ჩიკაგო: ნოზიანი (16), ჩანდლერი (15 ქულა, 21 მოხსნა), კარი (15), პაინრიხი (15)

ნიუ ჯერსი 109:88 ატლანტა
ნიუ ჯერსი: უილიამსი (21), ბაფორდი (18)
ატლანტა: პარინგტონი (17), უოლკერი (15)

შარლოტი 107:101 ნიუ იორკი
შარლოტი: ოკაფორი (20 ქულა, 18 მოხსნა), სმიტი (20)
ნიუ იორკი: კროუფორდი (41), მუჰამედი (15 ქულა, 17 მოხსნა)

დალასი 109:86 იუტა
დალასი: ნოვიციკი (30), ტერი (19), სტეკაუზი (18)
იუტა: პარპინი (22), არიო (16)

კლივლენდი 100:107 მინესოტა
კლივლენდი: დრო 92:92
მინესოტა: კასელი (30 ქულა, 10 პასი), გარნეტი (22 ქულა, 15 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 3 პასი, 3 დაფარება)

დევისის თასი

ფინალი

„ესტადიო ოლიმპიკო დე სევილია“. სევილია. თიხნარი
ესპანეთი 3:2 აშშ

პარასკევი. 3 დეკემბერი

პარლონ მონა — მერდი ფიში 6:4, 6:2, 6:3

რაფაელ ნადალი — ენდი როდიკი 6:7 (6:8), 6:2, 7:6 (8:6), 6:2

შაბათი. 4 დეკემბერი

ხუან კარლოს ფერერო, ტომი რობრედო — ზოზ ბრანიანი, მანიკ ბრანიანი 0:6, 3:6, 2:6

კვირა. 5 დეკემბერი

მონა — როდიკი 6:2, 7:6 (7:1), 7:6 (7:5)

რობრედო — ფიში 6:7 (6:8), 2:6

სავილია ამერიკის

დევისის თასის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ გუნდმა, რომელიც ფინალში 0:2 აგებდა, საბოლოოდ მაინც იმარჯვა. ამის გაკეთება უშორეს 1939 წელს ავსტრალიელებმა შეძლეს, როცა პირველ დღეს ამერიკელებთან ორსავე საერთოულ მატჩში დამარცხების შემდეგ დარჩენილი სამივე შეხვედრა მოიგეს.

როცა ამერიკელმა ძმებმა ბრაიანებმა შაბათს დაფეხვილი ხუან კარლოს ფერეროსა და შემცბარი ტომი რობრედოს წყვილს სათისა და 38 წუთში გადაურბინეს, ეგებ სადღე ვინმემ იფიქრა კიდევ, რომ ენდი როდიკი და მარდი ფიში კვირას ავსტრალიელთა 6:5-წლისწინანდელი სასწაულის გამეორებას შეძლებდნენ. მაგრამ — გვერდით და — შეუდარებლად უფრო მეტი იყო იმ ხალხის რიცხვი, ვინაც საკვირაოდ კარლოს მონასა და რაფაელ ნადალის ასე ჯაფთად ჩაფლავებას ეჭვობდა.

მართლაც სწორედ ეს მეორენი გამოდგნენ — უდაბვეწილესმა მა-

ლიორკელმა, რომელსაც გუშინდელამდე ნაკლად ჰქონდა, რომ ესპანეთმა 2000 წელს თავისი პირველი დევისის თასი უმისოდ მოიხვეჭა, დამაბულ შეხლაში, თუმცა კი მაინც სეტისწაუვებლად სძლია ამერიკელთა ყოფილი როდიკის და წლევეანდელი დევისისობის ბედიც გადაჭრა.

როდიკი ცუდად არც ამ მატჩში გარჯილა და არც პარასკევს, 18 წლის რაფაელ ნადალის წინააღმდეგ, მაგრამ ორივე შემთხვევაში მას საოცრად მობილიზებულ და მთელი არსით გამარჯვებისთვის დაგეგმილ მეტოქეებთან უწევდა რკნა. ორი მატჩიდან ის მხოლოდ ერთ სეტს გამოიჩინა, დანარჩენი ექვსიდან კი სამი 6:2 დათმო, სამიც — ტაბორეკზე.

მეტოქეთა შემართებაზე არანაკლებ პრობლემებს როდიკსა და დანარჩენ ამერიკას სარეკორდოდ მრავალრიცხოვანი სევილიური პუბლიკაც უქმნიდა. დიახ, ამოტოლა ლიანგი — და „ესტადიო ოლიმპიკო“ 27 200 მოსიერეს იტევს — აქა-



კარლოს მონა ესპანეთის დევისის თასი მეორედ მოაგებინა

მდე არც ერთ საჩოგბურთო ტურნირს არ დასწრები!

თუმცა ენდიბი პარასკევს ჰალალად აღიარებდა, ჩემი უმთავრესი პრობლემა დღეს ნადალი იყო და მოსალოცი სიტყვები გუშინ არც უჩაუქსად მობურთალი მოიას მისამართით დაშურებია, რომელმაც მას — ბარემ ეგეც ვთქვით და — მეოთხე შეხლაში პირველად აჯობა.

ისე — ხომ ყველამ ვიცოდით, რომ ვიშად მეთიხნარე ესპანელთა წინააღმდეგ ესპანეთში და თანაც თიხნარზე თამაში ამერიკელებს ძალიან გაუჭირდებოდათ? ცნობისთვის: მერდი ფიში, ვინაც ფინალის პირველ შეხლაში მოიასთან დათმო, წლეულს თავის მხოლოდ მეორე სათიხნარო მატჩს თამაშობდა.

რაც შეეხება ტყუპ ბრაიანთა გამარჯვებას, ეს არ უნდა გვიკვირდეს. ვერ ერთი იმიტომ, რომ ამით წლევეანდელ დევისისობაზე ყველა შეხვედრა სეტისწაუვებლად მოიგეს — ასეთი რამ კი 1981 წლიდან ანუ მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჯგუფი თამაშდება, ვერავის ეკისრა. მეორეც კიდევ იმიტომ, რომ მასპინძელთა კაპიტანმა ხორდი არესემ თავის ორ მრჩეველთან ერთად როდიკთან თითქმის ოთხსაათიანი განდაგანით დაღლილი რაფაელ ნადალის ნაცვლად ტომი რობრედოს შაბათს ხუან კარლოს ფერერო შეუწყვილა. ფერეროს მთელი წლევეანდელი სეზონი ტრავმების გამო წაეშურდა და ამ წყვილთა დროსაც ისეთი უღიმამაო სანახავი იყო, მსოფლიოს ნა-

პირველსანარს დასტურ რომ არ ეკადრებოდა. მაგრამ, ეგეც არ ყოფილიყო, მისი და რობრედოს წყვილს ძალიან წარმატებული არც ისე ეთქმის — აქამდე მათ ერთად 15 შეხვედრა გაემართათ და ოდენ სამჯერ ემძლავრათ.

ხოლო იმის აღწერას, თუ რა ხდებოდა მოიას მოგების შემდეგ „ესტადიო ოლიმპიკოში“, ფანტაზიის მეტისმეტი დაძაბვა არ სჭირდება — ექსპანსიურმა ლიანგმა, რომელმაც ესპანეთის პრინცი ფელიპე და მისი რჩეული ლეტისიაც იყენენ, ტურნირის 31-გზის ჩემპიონებზე გამარჯვება და თასის მეორედ მოხვეჭა ეშხიანი ცეკვებითა და ლალი სიმღერებით მოაგვირისტა.

ლევან კელაშაძე

ავტობოლა

სუპერჩემპიონებს ბავშვთა აჯობა

23 წლის ფინელმა მძღოლმა ჰეიკი კოვალაინენმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვა პარიზში, „სტად დე ფრანსის“ სტადიონზე მოწყობილ ავტობოლაში. სხვადასხვა ჯურის პილოტთა გასაჯობებლად ეს შოუ მოიფიქრა და რეალობად აქცია პოპულარულმა ფრანგმა მრბოლმა მიშელ მუტონმა. ქალბატონი მიშელი წლების მანძილზე მერალეთა ჩემპიონატებში გამოდიოდა და რამდენიმე ეტაპიც კი მოუგია.

„ჩემპიონთა ბოლა“ თავიდან ესპანურ კანარის კუნძულებზე ეწყობოდა, მერე მისამართი შეიცვალა და წლეულს საფრანგეთის დედაქალაქსაც ეწვია. სტადიონის მოედანზე მოაწყეს ორი პარალელური, კილომეტრიანი ტრასა, რათა ყოველ გარბენში ერთდროულად ორ მრბოლს მიეღო მონაწილეობა იყო, პატარა ტრამპლინიანი ხიდიც.

16 მონაწილეთა შორის იყვნენ მსოფლიოს შვიდგზის გვირგვინისანი მეფორმულე მიხაელ შუმხერი, მერალე ჩემპიონები — სებასტიენ ლოები, მარკუს გრონპოლმი, კოლინ მაკრეი, უტიტულო მეფორმულეები დე-

ვიდ კულპარდი, ფელიპე მასა, ჟან ალეზი, მერალე არმინ შვარცი, „ნისანის“ სერიის წლევეანდელი გამარჯვებული ჰეიკი კოვალაინენი, ამერიკულ „ნასკარ“-კარტში სახელმძღვანელები: ჯეფ გორდონი, კეისი მირსი, კენი ბრაკი, ტონი კანანა...

საჯირითოდ გამოიყენეს უგზობაში მაგარი „ბაგი“, სერიული „ფერარი 360-მოდე-ნა“, სარალო „სიტროენ-ქსარა“ და „პეკო-307“. ყოველ გარბენში მეტოქეები ერთნაირ მანქანებში იხდნენ, მერე კი სხვა ბოლიდით ცდიდნენ ძალას. ამ საქველმოქმედო-სახალისო გაჯობებამ 60 000 მაყურებელი მიიზიდა, 200 ათასეუროიანი შემოსავალი კი თავის და ზურგის ტვინის ავადმყოფთა სამკურნალოდ გადაირიცხა.

ვათამაშდა პირადი და გუნდური, ანუ ერთ-ენებათა თასიც. გუნდურში პირველობა მასპი-

ნილებმა — ლოებმა და ალეზიმ მოიპოვეს. ფინალში მათ ფინელს (გრონპოლმი, კოვალაინენი) სძლიეს — 3:1. მიხაელ შუმხერმა და შვარცმა პირველივე რბოლა წააგეს ბრა-ხოლიელებთან, მასასთან და კანანთან — 0:2.

პირად ტურნირში ბევრი მოულოდნელობა მოხდა. შუმიმ მასპინძელ სებასტიენ ბურდეს ადვილად კი აჯობა, მაგრამ მერე, „ფერარით“ გაჯობებებში, თითქმის სამი წამით ჩამორჩა კოვალაინენს. პოდა, რა გასაკვირია, რომ ფინელი ბავშვივით ამჩატდა და კაპოტზე ხტუნუა-ხტუნუით ლამის დაჭეჭა თავისი იტალიური ბედაური. აღსანიშნავია, რომ მან საფინალო გზაზე კულპარდი და ალეზიც ჩამოიტოვა.



მეორე სუპერფინალისტი გახდა ლოები, ორგზის ჩემპიონ გრონპოლმის ძლევიტ. სხვათა შორის, ეს ორი პილოტი შარშანდელ

„ჩემპიონთა ბოლის“ ფინალში შეეჭიდა ერთმანეთს და მამინაც ლოებმა იმარჯვა.

ფინალი ორ მოგებად იყო. მეტოქეები პირველ ცდაზე „პეკოებში“ იხდნენ. თავიდან ლოები დაწინაურდა, მაგრამ დისტანციის მეორე ნაწილი კოვალაინენმა უშეცდომოდ გაიქროლა და წამით აჯობა შვიდი წლით უფროს, სახელოვან კონკურენტს.

მეორე ცდა „ფერარით“ შეასრულეს, ამჯერად ფრანგის უპირატესობა აშკარა იყო და ფინიშზე ფინელს თითქმის ორი წამით მიასწრო, მაგრამ წვის დარღვევისთვის მსაჯებმა მის შედეგს ათი საჯარიმო წამი დაუმატეს და, ბუნებრივია, გამარჯვება კოვალაინენს დარჩა. იგი ყველაზე ახალგაზრდაა იმთა შორის, ვისაც „ჩემპიონთა ბოლა“ მოუგია. ამიტომაც იყო, რომ ემოციებს ვერ მალავდა: „მიჭირს დღევანდელი გამარჯვების დაჯერება. განსაკუთრებით ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონ ლოებს ვაჯობე სარალო მანქანით. და თანაც ყოველდღე ხომ არ გეძლევა მანსი მისაჯულ შუმხერს გავეჯობო და მოუგო კიდევ.“

ბია ახალაძე



ამ უქმეებზე უნგრეთის მთავარქალაქ ბუდაპეშტში ევროპული ძიუდოს დიდი ზარ-ზეიმი გაიმართა. ჯერ იყო კონგრესი, სადაც გადამწყდა, რომ ევროპის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად 2008 წლამდე დარჩება რუმინელი მარიან ვიზერი. რაც შეეხება ფედერაციის სხვა დიდმოხელეებს: ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრო ბლანკო, გენერალური მდივანი ენვირ ვალეა, ხოლო სპორტული დირექტორი ფლორინ დანიელ ლასკაუ იქნებიან

ჩვენთვის სააქტუალი კი ისაა, რომ კონგრესზე მარიან ვიზერმა საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ევროპაში საუკეთესოდ აღიარა და მის თავკაც დილარ ხაბულიანს საზეიმოდ სპეციალური პრიზიც გა-

ყიზილაშვილის აბსოლუტური ბუდაპეშტური

დასცა. ბუნებრივია, ამ პატივისცემის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ათენის ოლიმპიადაზე ზურაბ ზეიდაურის ტრიუმფი და ნესტორ ხერგიანის ვერცხლის მედალია.

კონგრესის შემდეგ ბუდაპეშტში ტატამიც გაიშალა, რომელსაც ოცამდე ფალავანი შეესია ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის გამოსაყვანად. ეს ტურნირი თავისთავად იმითაა საინტერესო, რომ წინა შეზღუდული არ არის, მაგრამ ცხადია, უმთავრესად მძიმე და ქვეძიმეწონის მძიმე მოსინჯვეს ძალა. მათ შორის სამი ქართველიც იყო: შოთა ხაბარელის ნაკრების ყოფილი მძიმეწონისანი ჯილა ალექსი დავითაშვილი, გამოცდილი ივერი

ჯიქურაული და 21 წლის გიორგი ყიზილაშვილი, რომლებიც 100 კილოგრამ წონით კატეგორიის ფალავნები არიან.

ჯიქურაულმა ჯგუფში პირველივე შეხვედრა წააგო უნგრელ ანტილ კოვანთან და რადგან ტურნირზე რეპეშაჟის სისტემა არ იყო, მამინვე გამოეთიშა ტურნირს. დავითაშვილმა რუსი ალექსანდრ მიხაილინი კი დააიპონა, მაგრამ ფრანგ მეტიუ ბატაილს ვერაფერი მოუხერხა და ფინალურ ოთხეულს მიღმა დარჩა.

სამაგიეროდ, ოთხეულში იოლად გავიდა ყიზილაშვილი, რომელმაც ჯგუფში ესტონელი მარტინ პადარსასა და რუს ჰაჯიმურად მუს-



მარიან ვიზერი დილარ ხაბულიანს აჯილდოვებს

ლიძოვის ძღვევას ჯამში 4 წუთი მოანდომა. გიორგიმ ნახევარფინალში უკვე ქულებით აჯობა ჯიქურაულის წამქცვე კოვანს, თუმცა დავითაშვილის შური კი ვეღარ იძია — ფინალში ერთ წუთში წააგო ბარტაილთან.

ლავენების სიმცირისა, ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლი ბარაქიანი შედეგია ახალგაზრდა ყიზილაშვილისთვის, რომლის სახით შოთა ხაბარელს 100 კილოგრამში სატყვიკარი არ ექნება.

ილია ნანოგაფილი

ქართვებზეს რინი მოუგატას

IRB და FIRA-AER კარგა ხანია აცხადებენ, დროა, მსოფლიოში რაგბის დონე გავათანაბროთ, რომ ჩვენი სპორტი უფრო გლობალური განდეს და მხოლოდ 6-7 გუნდის თამაში აღარ იყოსო. ამ მიზნით სპეციალური პროგრამებიცაა შემუშავებული. საქართველოს ნაკრების სანოემბრო ტურნე სამხრეთ ამერიკაში სწორედ IRB-ს ინიციატივა იყო, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი საშემოდგომო ტესტი, რომელიც ევროპაში ჩატარდა. პროგრამით ასევე ფულადი დახმარებებიცაა გათვალისწინებული — პერსპექტიულ სარაგბო ქვეყნებს ბოლოლებში გასარეგვად ხელი უნდა შეეწყოს.

ჩვენც არ დავრჩით დახმარების გარეშე და

მოუხედავად იმისა, რომ საქართველოს რაგბის კავშირს ფულადი გრანტები ჯერ არ მიუღია, ერთი მეტად სასიამოვნო ამბავი მაინც შევიტყვეთ. თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილი მოთამაშე, ამჟამად კი ბიზნესმენი კოკა ლაზაშვილი FIRA-AER-ის ევროპის განვითარების მენეჯერად აირჩიეს, ეს კი ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო პოსტია დღევანდელ ევროპულ რაგბიში. ბატონი კოკა უკვე გასაუბრებია IRB-ს განვითარების მენეჯერ, უელსელ ევანსს და FIRA-AER-ის პრეზიდენტს ჟან-კლოდ ბაკეს და მათთან კარგი ურთიერთობის დამყარებაც მოუსწრია.

კოკა ლაზაშვილამდე ეს პოსტი რუმინელ ოქტავიო მორავიუს ეჭირა და რა გასაკვი-

რია, რომ რუმინული რაგბი საკმაოდ განვითარებული გახლდათ სხვადასხვა დახმარებებით.

აღმოსავლეთ ევროპაში რაგბის განვითარების მენეჯერიც ჩვენებური კაცი გახლავთ, ვია ჭუმბურიძე, ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველები ევროპული რაგბის ჩინოსნებში გაერივნენ და ეს მხოლოდ წაგვადგება — წესით და რიგით, ბავშვთა რაგბისაც უნდა დაეტყოს და ჩვენს უპირველეს ნაკრებსაც, რომელსაც აწი ნაკლებად დაიჩაგრება თუნდაც მსაჯულებისგან (ისე კი, მსაჯულებთან საპრეტენზიო ნაკლებად უნდა გეჭონდეს).

ანალოგიური პოსტი, ოღონდ შვიდაცაა რაგბიში ჩვენებური ზაზა ქასაშვილს ეკავა თუმცა ის ამჟამად რუსმა აფინოგენოვმა შეცვალა.

ასეა თუ ისე, ფაქტია, ევროპამ როგორც იქნა დაგვინახა და დაგვაფასა, ახლა ყველაფერი ჩვენს მარაფათზე და ჯივარზეა დამოკიდებული.

ლადო ფულუაძე


ქურსიკებთან მარსხის მაღღია

შაბათს ბუენოს აირესში ამა წლის ბოლო ტესტი გაიმართა. არგენტინელმა „პუმებმა“ სამხრეთაფრიკელ „ქურციკებს“ უმასპინძლეს. თავიდანვე შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ჯახი ისეთი საინტერესო ვერ იქნებოდა, როგორც ნოემბერში ამ გუნდების სხვა თამაშები სხვა მეტოქეებთან. ამის უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ ევროპაში წამყვანი სარაგბო ქვეყნების ჩემპიონატები განახლდა და „პუმების“ ძირითადი შემადგენლობაც ბებერ კონტინენტზე კლუბებში დარჩა.

არგენტინელთა თავკაცმა მარსელო ლოფრედამ მხოლოდ 6 ევროტესტებში ნაცადი მორაგბე მოიხელთა „ქურციკებთან“ სომრად გუნდი ახალბედა მორაგბეებით შეავსო. თავის მხრივ არც სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელ ჯეიკ ვაიტს ჰყავდა სრული შემადგენლობა, თუმცა „ქურციკებმა“ მაინც იოლი გამარჯვება მოიპოვეს და მასპინძლებს 39:7 გადაუბრინეს. მატჩის გმირი ხაფი დოუ ტუა გახლდათ, ვინაც თავისდა წილად ორი ლელო მიითვალა.

ნამატჩევეს „პუმების“ დამრიგებელი მაინცდამაინც გულდაწყვეტილი არ ჩანდა — „გარწმუნებთ, ძირითად შემადგენლობას რომ ეთამაშა, სულ სხვა მატჩს იხილავდით, თუმცა არც ახლა ვარ უკმაყოფილო, ჩვენმა ახალგაზრდა მორაგბეებმა უდიდესი გამოცდილება მიიღეს, სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ თამაში ნებისმიერისთვის შესანიშნავი სკოლაა და იმედია, ეს გამოცდილება მომავალში გაითვალისწინებენ.“

ლადო ფულუაძე



მერაბ ანთაძე

აბა, რკათვიანი შეგაჯაპოთ...

წლებადნელ ქართულ სარაგბო ამბავ-ხაბარში უმთავრესი რაც მოხდა, იცით: ბიძინა გეგეიძის ნაცვლად საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებში მერაბ ანთაძემ იმარჯვა. ეს 15 აპრილს მოხდა და იმ დღესვე ანთაძემ გამოაცხადა, წლის ბოლოს რაგბის კავშირის საერთო ყრილობას მოვიწვევ და ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში (ანუ 8 თვეში) გაკეთებული-გაცუდებული მიმოვიხილოთ.

ეს საერთო ყრილობა 23 დეკემბერს გაიმართება, რომლის დღის წესრიგში სამი საკითხი იდგება: 1 საანგარიშო მოხსენება; 2 წესდებაში ცვლილებების შეტანა; 3 რაგბის კავშირის გამკვირების არჩევნები.

ილია ნანოგაფილი

საპილიური მოსიგება


სევილიაში გახურებულა დევისის თასის ფინალი ესპანელებსა და ამერიკელებს შორის. ჩვენი წრფელი ანგარიშით კი ეშხიან სამხრეთელ გოგონებსა თრთავა ჩოგნები სულაც არ სჭირდებოდათ მოსეირეთა მოსახიბლად.



REUTERS სევილიიდან

დაიდალი

ეს გოგო ინგლისელი პოპ-მომღერალი დაიდალი გახლავს. ამ ჯერზე ის „არსენალის“ სოლ კემპბელის საყვარელია. სოლმა სწორედ ამასწინათ მიატოვა თვახნი. დაიდალი ადრე „მანჩესტერელ“ აღან სმიტთანაც შეუმჩნევიათ და აღბათ არც კემპბელს შერჩება დიდხანს.



REUTERS ალდენბერგიდან

ბასრ მოსახვევი

ალდენბერგში ბოხსლეი-ციგოსნობის მსოფლიო თასი გრძელდება. ასე შედიან ორკაცა ბოხსლეის რუსები ზუბკოვი (წინა) და სტეპუშკინი (არ ჩანს) ბასრ მოსახვევში. ოლონდაც ეს ჯერ ვარჯიშია.



REUTERS ნიურნბერგიდან

მოკლე ტანბო

ოლივერ ჯანმა და მისმა თანაგუნდელმა მარტინ დემიკელისმა ნიურნბერგის მინდორზე მოკლე ტანბო გასწიეს. სათადარიგო დემიკელისთან ცეკვის სურვილი ჯანს მას შემდეგ გაუღვიძა, რაც მისმა „ბაიერნმა“ მეორე გოლი გაუტანა „ნიურნბერგს“.

სარბიელი
საპრეტული გაზეთი

გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოცემის ორგანიზატორები,
საგამომცემლო, ორგანიზატორები,
პარასკევის და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი გიორგი მარგალიტი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კობახიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაიაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინსარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი,
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანიანი, გიორგი ვაშაყიძე
ლალო ხომერიკი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვაჟა ახალაძე, ათანდილ გურასაშვილი, ლევან კლავაძე, თორმედი კლიძე, ილია ნანაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლიძე, ვაჟა ლომიძე, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოხაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, სათუნა ბუსუნიაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალაშვილი, მადია დვარაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქილაძე, ზურაბ წერეთელი

გამომცემლის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შაზუაძის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საპრეტული მისამართი:
თბილისი - 79, საპრეტული
ჭაბუკი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbieri.com.ge>